პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 199 (20540) ◆ სამშაბათი, 29 აგვისტო, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის

განცხადება

საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

22 აგვისტოს ვილნიუსში გამოქვეყნდა ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებისა და მათი შედეგების შემსწავლელი კომისიის დასკვნა. ეს ხელშეკრულებანი გამოცხადებულია უკანონოდ და ბათილად, ამასთანავე უკანონო და იურიდიული ძალის არმქონე ეწოდა ლიტვის სახალხო სეიმის დეკლარაციას სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი შესვლის შესახებ (1940 წლის 21 ივლისი) და სსრ კავშირის კანონს სსრ კავშირის შემადგენლობაში ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ (1940 წლის 3 აგვისტო).

ეს გაკეთდა მაშინ, როდესაც ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილ შესაბამის კომისიას, რომელიც, სხვათა შორის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დეპუტატთა ინიციატივით ჩამოყალიბდა, და მათი წარმომადგენლები მონაწილეობენ ამ კომისიაში. ეს გაკეთდა იმის უგულებელყოფით, რომ ბოლო სიტყვა ეკუთვნის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას, რომელსაც კომისია მოახსენებს თავის დასკვნებს.

ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის განცხადება არ არის კერძო შემთხვევა. იგი უშუალოდ უკავშირდება სეპარატისტულ გეზს, რომელსაც უკანასკნელი თვეების მანძილზე სულ უფრო ჯიუტად და აგრესიულად ატარებენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გარკვეული ძალები. მისი აპოთეოზი გახდა სახალხო ფრონტელებისა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების მიერ 23 აგვისტოს მოწყობილი მასობრივი აქცია, რომლის პოლიტიკური აზრია განაწყონ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხალხები საბჭოთა კავშირისაგან გამოსაყოფად.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს თავის მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს ამასთან დაკავშირებით შემდეგი.

საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილი სიტუაცია სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს. იქაური მოვლენების განვითარება მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძირეულ ინტერესებს ეხება.

გარდაქმნა ხალხთა ეროვნული თვითშეგნების სწრაფი ზრდის ხელშემწყობი ნიადაგი გახდა, იმის რწმენა შემატა მათ, რომ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების პრობლემები. დიდ საბჭოთა მრავალეროვან ოჯახში ყოველი ხალხის ეროვნული აღორძინება, რომელსაც ხელს უწყობს ქვეყნის სხვა ხალხებთან გარდაქმნით შექმნილი თავისუფალი და შეწონასწორებული თანამოქმედების ახალი შესაძლებლობების გამოყენება, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის კალაპოტში ძევს, მთელი ჩვენი საზოგადოების განახლების ერთ-ერთი საფუძველია. სწორედ ამას ისახავენ მიზნად უკანასკნელ ხანს მიღებული უმნიშვნელოვანესი, პრინციპული ღონისძიებანი მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცების, მისი ახალი და რეალური შინაარსით შევსებისათვის.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკები აქტიურად ჩაებნენ ამ ღრმად გარდაქმნის პროცესებში. ამოძრავდნენ შრომითი კოლექტივები, გააქტიურდნენ საზოგადოების ყველა ფენის ინტელექტუალური ძალები.

მაგრამ გარკვეულ ეტაპზე აქ დემოკრატიისა და კარგახსნილობის ვითარებით ისარგებლეს ნაციონალისტურმა, ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა, რომლებმაც თანდათან შეიტანეს მოვლენათა განვითარებაში არაჯანსაღი საწყისი. დაიჩემეს რა ეროვნული ინტერესების ჭეშმარიტ გამომხატველთა როლი, მათ თანდათან წარმართეს საქმე დანარჩენი ქვეყნისაგან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცალკავებისაკენ, სხვა ხალხებთან დიდი ხნის დამკვიდრებული ორგანული კავშირურთიერთობის გაწყვეტისაკენ. სულ უფრო აშკარად იწყეს გამოსვლა ექსტრემისტული, სეპარატისტული პოზიციებიდან. ძალზე მალე გამოვლინდა მათი ჩანაფიქრის ანტისოციალისტური და ანტისაბჭოური ხასიათი. ზოგან გაჩნდა ორგანიზაციები, რომლებიც ბურჟუაზიული პერიოდისა და ფაშისტური ოკუპაციის დროის პოლიტიკურ ფორმირებებს მოგვაგონებენ. ფაქტობრივად დაიწყო ხელისუფლების პარალელური ორგანოების შექმნა. ფეხი მოიკიდა დაშინების პრაქტიკამ, აშკარა მოტყუებამ და დეზინფორმაციამ. ზოგან კი მორალურმა ტერორმაც, იმათთვის სახელის გატეხამ, ვინც არ ეთანხმება, ვინც ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა კავშირის მთლიანობის იდეების ერთგული რჩება. მასობრივი ინფორმაციის ორგანოების ნაწილი ნაციონალისტური ატმოსფეროს დანერგვის წყაროდ მოგვევლინა.

ისარგებლეს რა საერთაშორისო ურთიერთობის თავისუფლებით, ნაციონალისტურმა მოღვაწეებმა კონტაქტი დაამყარეს საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან და ცენტრებთან, არსებითად აბამენ მათ თავიანთი რესპუბლიკების საშინაო საქმეებში, გაიხადეს ისინი კონსულტანტებად და მრჩევლებად, თითქოს ამ დასავლელ ადამიანებს უკეთ ესმოდეთ, რა სჭირდებათ სინამდვილეში ბალტიისპირელ ხალხებს, თითქოს ისინი ჩვენი ქვეყნის მიმართ საკუთარი ფარული თუ აშკარა ზრახვებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ მართლაც აწუხებთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სჩადიან ნამდვილი ვანდალიზმის აქტებს, ბილწავენ სახელმწიფო სიმბოლოებს, წმიდათაწმიდა ადგილებს, რომლებიც ხელშეუხებელია ყოველი წესიერი ადამიანისათვის, — სამოქალაქო ომსა და დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ძეგლებს.

საბჭოთა ადამიანებმა ქვეყნის ყველა კუთხეში გაკვირვებითა და გულისტკივილით დაინახეს და წაიკითხეს ისეთი რამ, რაც ვერანაირად ვერ ეგუება მათს წარმოდგენას ლატვიელთა, ლიტველთა, ესტონელთა ეროვნულ ტრადიციებზე და, თითქოს, უაღრესად შეურაცხმყოფია ამ ხალხთა ეროვნული ხასიათისათვის, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი პატიოსნებით, წესიერებით, ადამიანთა ურთიერთობის ცივილიზებული ნორმების პატივისცემით.

დესტრუქციული, ანტისაბჭოური და არსებითად ანტიეროვნული ძალების საქმიანობას, ნაციონალიზმის ატმოსფეროს შედეგად მოჰყვა ის, რომ რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების დონეზეც მიიღეს ანტიკონსტიტუციური აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენი სახელმწიფოს ფედერაციულ პრინციპებს, ითვალისწინებს ამ რესპუბლიკების მოსახლეობის სხვა ეროვნების ნაწილის დისკრიმინაციას.

1989 წლის 23 აგვისტოს მოვლენათა ორგანიზატორები შეეცადნენ ისე გაემძაფრებინათ განწყობილება, რომ ნამდვილ ნაციონალისტურ ისტერიამდე მიეყვანათ. ლოზუნგები, რომლებიც ხელში დაიჭერინეს ათასობით ადამიანს, გამსჭვალული იყო საბჭოთა წყობილების, რუსების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა არმიისადმი მტრობით.

ბალტიისპირეთში მიმდინარე მოვლენებს განიცდიან მთელ ჩვენს ქვეყანაში, სულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. ცენტრალურ კომიტეტში მოდის სულ უფრო მეტი წერილი, განცხადება, სხვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უმძიმთ ეს ამბები თვით ლიტველებს, ესტონელებს, ლატვიელებს, ნაციონალიზმის ვირუსით მოუწამლავ უბრალო ადამიანებს. იმათაც კი, ვინც მასობრივ აქციებში მონაწილეობს, ან არ ესმით, ან არ იზიარებენ ანტისაბჭოური მოძრაობის ორგანიზატორთა ზრახვებს და ყოველნაირად ცდილობენ წარმოაჩინონ თავიანთი მეგობრული, გულითადი დამოკიდებულება სხვა ხალხების წარმომადგენლებისადმი, ემიჯნებიან და გმობენ იმათ ექსტრემისტულ გამოხდომებსა და ხულიგნურ მოქმედებას, ვინც ფიანდაზად ეგება ფეხქვეშ ნაციონალისტურ ლიდერებს. და, ყოველ შემთხვევაში, უბრალო ადამიანთა წრიდან არ მომდინარეობს მოწოდებანი გაწყვიტონ კავშირი უზარმაზარი, დიადი ქვეყნის სხვა ხალხებთან.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სეპარატისტული მოძრაობა თავისი ხალხების ინტერესებს, მათს ნამდვილად ეროვნულად პატრიოტულ თვითშეგნებას არ გამოხატავს.

ნაციონალისტური ძალების საქმიანობამ უკვე გამოიწვია ძალზე სერიოზული დანაკარგები რესპუბლიკების ეკონომიკაში, გამოიწვია ეროვნებათშორისი და სოციალური დაძაბულობა. ზოგან აშკარად დადგა ნამდვილი სამოქალაქო კონფლიქტის, მასობრივი ქუჩური შეტაკებების რეალური საფრთხე, რომლებსაც მძიმე შედეგები მოჰყვება. მდგომარეობა ძალზე დაიძაბა. ბალტიისპირელ ხალხთა ბედს სერიოზული საფრთხე შეექმნა. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რა უფსკრულისაკენ მიაქანებენ ნაციონალისტური ლიდერები. მათ რომ თავიანთი მიზნებისათვის მიეღწიათ, ეს ხალხებს კატასტროფულ შედეგებს მოუტანდა. თვით მათი სიცოცხლისუნარიანობა საეჭვო გახდებოდა.

ეს უნდა ვთქვათ დაუფარავად, თვით ბალტიისპირელი ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავიდანვე გამოიჩინა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების სპეციფიკის ღრმა გაგება. მან დროულად დაინახა ხელმძღვანელობის განახლებისა და ახალი ძალების შემომატების საჭიროება, ეხმარებოდა ემოქმედათ დროის სულისკვეთებით, ეცხოვრათ ხალხის საჭიროებებითა და საზრუნავით, უფრო სწრაფად გადაეჭრათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელი პრობლემები. თითქოს, რესპუბლიკების ხელმძღვანელობამ გამონახა კიდეც საერთო ენა საზოგადოებრიობასთან, მოსახლეობასთან, სწორად შეაფასა გარდაქმნის გზები და შესაძლებლობანი ეროვნული პირობების გათვალისწინებით.

მაგრამ, უნდა ითქვას, ამ რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს ყველაფერი ეღონათ იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ პროცესი გარდაქმნის ცვლილებების ნორმალურ კალაპოტში. მათ ვერ შეძლეს შეეჩერებინათ ნეგატიური ტენდენციები, გარდაექმნათ სიტუაცია, დაეცვათ პრინციპული პოზიციები, დაერწმუნებინათ ადამიანები, რომ დამღუპველია ოპოზიციური ძალების გეგმები და პრაქტიკა. სწორი გეზი, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნაციონალისტურ საფუძველზე საზოგადოების კონსოლიდაციას გარდაქმნის საერთო-საკავშირო და საკაცობრიო ღირებულებებზე ეროვნული თავისებურებებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალური გათვალისწინებით, — წააწყდა დაბრკოლებებს, რომლებიც ჯერაც არ არის დაძლეული.

არ შეიძლება აგრეთვე არ ვაღიაროთ, რომ პარტიული კომიტეტებისა და მუშაკების ნაწილი შეუშინდა სიძნელეებს, ფარ-ხმალი დაყარა, ხოლო ზოგიერთებმა ლაციცი კი დაუწყეს ნაციონალისტურად განწყობილ წრეებს, შეასუსტეს წინააღმდეგობა სეპარატისტული გეგმებისადმი.

შექმნილი ვითარება მოითხოვს ღრმა გაცნობიერებას, რეალურ და სერიოზულ შეფასებას და გადამწყვეტ გადაუდებელ ღონისძიებებს, რათა ბალტიისპირეთში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი განიწმინდოს ექსტრემიზმისაგან, დესტრუქციული, მავნე ტენდენციებისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მიმართავს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური მიწა-წყალი, მშვიდობა და ეროვნული თანხმობა, და დაბეჯითებით მოუწოდებს შეიგნონ და შეიგრძნონ იმ უბედურების მთელი სიღრმე და რეალობა, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეთ, გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და სიბრძნე მთელი ქვეყნის ისტორიის ამ გარდამტეხ ეტაპზე.

ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მუშათა კლასს, გლეხობას, იმათ, ვინც ქმნის ცხოვრების მატერიალურ საფუძველს და ვინც ყოველთვის ყველაზე პირველი და ყველაზე მეტად იჩაგრება სოციალური და ეროვნული დარტყმების დროს, — გაერთიანებული ძალებით, ერთად ვეძებოთ და ვიპოვოთ მდგომარეობიდან გამოსავალი, არ ავყვეთ ნაციონალისტურ ისტერიას, შევაჩეროთ მოლაყბე ელემენტები.

ჩვენ ყველას ბევრი საერთო სიძნელე გვაქვს. ქვეყანას, მის ეკონომიკას რთული მდგომარეობა შეექმნა. ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც ცდილობს დაგიმტკიცოთ, თითქოს, საკმარისია „განდევნოთ მიგრანტები", არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში ჩააყენოთ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, პოლონელები, ებრაელები და სხვები, რომლებიც თქვენთან ერთად ცხოვრობენ და შრომობენ, „გამოეყოთ სსრ კავშირს", რომ ლიტველთა, ლატვიელთა თუ ესტონელთა ცხოვრება მაშინვე შეძლებული და საამური გახდეს. ეს აშკარა სიცრუეა! ეს ტყუილია!

ყოველ რესპუბლიკას, ყოველ რეგიონს აკავშირებს სამეურნეო, საზოგადოებრივი, კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და უბრალოდ ადამიანური ურთიერთობის ათასობით უხილავი ძაფი სხვებთან, მთელ ქვეყანასთან. რა მოხდება, ერთი ხელის დაკვრით რომ გადავწყვიტოთ ეს ურთიერთობა? სრულიად ნათელია: ეს არავის დააყრის ხეირს.

ახლა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წინაშე, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში პირველთ მიეცათ შესაძლებლობა დაამყარონ ნამდვილად დამოუკიდებელი მეურნეობრიობის სისტემა, გადავიდნენ თვითუზრუნველყოფაზე, სამეურნეო ანგარიშზე, უფართოესი ჰორიზონტები ისახება ინიციატივის, ნოვატორობის, ეკონომიკის განვითარებისა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ისპობა წარსულის დანაშრევები და დამახინჯებანი, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებსა და რესპუბლიკების მოსახლეობას ხელს უშლიდა თავი ეგრძნოთ და ემოქმედათ ისე, როგორც თავიანთი სახლის ბატონ-პატრონს შეჰფერის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი იმედოვნებს, რომ ლატვიის, ესტონეთის, ლიტვის მუშათა კლასი, მშრომელები, რომელთაც მოსდგამთ თავიანთი ერებისა და ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა სხვა ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლის სახელოვანი რევოლუციური ინტერნაციონალისტური ტრადიციები, ამჯერადაც იტყვიან თავიანთ სათქმელს, დაიცავენ ახალ რევოლუციას, დაიცავენ გარდაქმნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ბალტისპირეთის ყველა მოძმე ხალხის ინტელიგენციას დადგნენ ამ განსაცდელის ჟამს თავიანთი ჭეშმარიტი სულიერი დანიშნულების, ხალხებისა და მთლიანად ქვეყნის წინაშე თავიანთი პასუხისმგებლობის მოწოდების სიმაღლეზე. ინტელიგენცია კეთილი ნების, გონიერების, ერთიანობის, ადამიანთა თანხმობის, და არა მტრობისა და კონფრონტაციის, არა ერთთა მიერ მეორეთა დამცირებისა და შეურაცხყოფის მატარებელია. სხვისი ჭირი არ არსებობს — ნუ დავივიწყებთ ამას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი წუხილისა და იმედის განსაკუთრებული სიტყვებით მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ქალებო, დედებო, დებო: განა არის ამქვეყნად რაიმე სხვა საზრუნავი, რომელმაც შეიძლება დაჩრდილოს ზრუნვა ბავშვებისათვის? იმისათვის, რომ მათ არავითარი უბედურება არ დაატყდეთ თავს, იმისათვის, რომ ბავშვებს არასდროს არ მოჰკლებოდეთ დედის ალერსი, მთელი საზოგადოების გულისხმიერება და ჰუმანურობა. თქვენი სათნოება, თქვენი მოქმედი სიკეთე და კეთილგონიერება უნდა დაგვეხმაროს იმაში, რომ აღვადგინოთ საზოგადოებაში ნდობა და ურთიერთგაგება. თქვენ ხელგეწიფებათ სასიკეთო გავლენა მოახდინოთ ახალგაზრდობაზე.

ჩვენი სიტყვები მიმართულია სახალხო დეპუტატებისადმი — გამოიჩინეთ სახელმწიფო პასუხისმგებლობა და პოლიტიკური მოწიფულობა, გამოიყენეთ თქვენი ავტორიტეტი კრიზისის დასაძლევად.

ჩვენ მრავალეროვანი საბჭოთა ბალტიისპირეთის ხალხთა საღი აზრის იმედი გვაქვს. დროა, საერთო ინტერესებისათვის შევაჩეროთ მოვლენათა საბედისწერო განვითარება, გადავიდეთ კონფრონტაციიდან დიალოგზე, ძნელი, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტებისა და კომპრომისების ძიებაზე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მიმართავს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ყველა კომუნისტს, როგორც პარტიის ვეტერანებს, ისე იმათ, ვინც ახლახან დაუკავშირა თავისი ბედი ლენინის პარტიას: თქვენ უნდა უჩვენოთ ყველას კეთილმოსურნეობისა და ადამიანური ურთიერთობის მაგალითი, დაარწმუნოთ ადამიანები თანხმობის, კონსოლიდაციის აუცილებლობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი ბუნებით გამაერთიანებელი ძალაა, რომელსაც შეუძლია თავის პოლიტიკაში გაითვალისწინოს, შეაკავშიროს ჯანსაღი ეროვნული ინტერესები ქვეყნის საერთო ინტერნაციონალურ პროგრესში. ტყუილად როდი ირჯებიან ასე დესტრუქციული ძალები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ შეასუსტონ პარტია. მათ იციან, რომ პარტიის დასუსტება სსრ კავშირის ხალხთა შეკავშირების რღვევას მოასწავებს, ხელს გაუხსნის იმათ, ვისაც თავისი ეგოისტური მიზნები ამოძრავებს, ვისთვისაც უცნობია ხალხთა ჭეშმარიტი ინტერესები.

ცხოვრება გვარწმუნებს, რომ ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში დახვავებული ნეგატიური პრობლემების გადაჭრის, წარსულის შეცდომებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზაა ისეთი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შეესაბამება გარდაქმნის, ახლებური აზროვნების მოთხოვნებსა და სულისკვეთებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოიტანა ასეთი პოლიტიკის საფუძვლები, გამოაქვეყნა თავისი პლატფორმა ამ საკითხზე. სულ მალე პლენუმი შეაჯამებს ამ განხილვის შედეგებს და განსახილველად წარუდგენს თავის წინადადებებს ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას.

ჩვენ, კომუნისტებს, ამჟამად უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ბედისათვის, საბჭოთა ადამიანების ბედისათვის. დღეს ყოველ ჩვენგანს განსაკუთრებით მოეთხოვება კონკრეტული საქმეების ვაჟკაცობა, პარტიული თანადგომა, ძალების ერთიანობა, განსაკუთრებით მართებთ ერთად შემატონ წვლილი გარდაქმნას, ურომლისოდაც და რომლის გარეშეც ვერ გადავჭრით ვერც ეროვნულ და ვერც ეროვნებათშორის პრობლემებს.

დაჰკრა ჟამმა, როდესაც თითოეულმა კომუნისტმა უნდა დაიკავოს პრინციპული პარტიული პოზიცია და იმოქმედოს ისე, რომ მისი ღირსება და სინდისი წმინდა იყოს მისი ხალხის წინაშე ახლაც და მომავალი თაობების წინაშეც.

ასეთია დღეს ჩვენი საერთო მოვალეობა.

შევინარჩუნოთ საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგების ერთიანობა!

ამოქმედდა ახალი ქარხანა

თბილისის ლინოლეუმის ქარხანა კარგი შენაძენია რესპუბლიკის მრეწველობისათვის. საწარმო ორი წელი შენდებოდა და მისი კოლექტივი საქმიანობას მიმდინარე წლის პირველ ივლისს შეუდგა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულებამ 15,1 მილიონი მანეთი შეადგინა, აქედან 6,4 მილიონი მანეთის მარტო უცხოური დანადგარებია საწარმოში, დასავლეთ გერმანული „ჩამიშ კლაინევეფერსის" ფირმის ლინოლეუმის ხაზის მწარმოებლობა 4 მილიონი კვადრატული მეტრი ლინოლეუმია წელიწადში.

წლის დამლევამდე ქარხნის კოლექტივი მილიონ კვადრატულ მეტრ ლინოლეუმს დაამზადებს. აქედან რესპუბლიკაში 240.000 კვადრატული მეტრი დარჩება,

აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმო ეკოლოგიური თვალსაზრისით უნიკალურია, არ ანაგვიანებს წყალსა და ჰაერს. შესანიშნავად წმენდს ჰაერს დანადგარი, რომელშიც მაღალ ტემპერატურაზე იწვის ტექნოლოგიური პროცესების დროს გამოყოფილი გაზები და ჰაერი მალე თავისუფლდება მავნე მინარევებისაგან.

◆



სურათებზე: ცენტრალური ლაბორატორიის ლაბორანტი ირმა გვირგვილიანი; მოწინავეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ხაზის ოპერატორი სოსო ჩაჩანიძე, ცვლის უფროსი დავით ნიჟარაძე, ოპერატორი ირაკლი მუმლაძე და დირექტორის მოადგილე რეზო გონგაძე; ძირითადი საამქროს ხედი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

სოფელი: როგორ ვემზადებით გამოზამთრებისათვის?

მედღეხვალიეობის ცუდი შედეგი

თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში ზაფხულისთვის ჩვეული სიწყნარეა — საქონლის ძირითადი ჯოგი ამჟამად ცივ-გომბორის ქედის იალაღებზე იმყოფება. დიდი გვალვების გამო იქ მდგომარეობა მეტად რთულია. სხვას რომ თავი დავანებოთ, სასმელი წყალიც ჭირს. ბალახიც მალე მოილია და კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლები იძულებულნი არიან ყოველდღიურად ორ ტონამდე მწვანე მასა აგზავნონ მთაში.

— მიმდინარე წელს ორას ტონაზე მეტი საკვები გაიგზავნა მთაში პირუტყვის გამოსაკვებად, გვეუბნება კოლმეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი რუბენ ქოჩიშვილი. — ეს კი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ დროზე ადრე, ამ თვის ბოლოსთვის ვვარაუდობთ მთიდან საქონლის ჩამოყვანას.

რუისპირელ მეცხოველეთა გადაწყვეტილება უდავოდ სწორია. მით უმეტეს, რომ ადგილობრივი კოლმეურნეობა მეტად რთულ ფინანსურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი — მისი დავალიანება სამ მილიონ მანეთს აჭარბებს. მაგრამ საკითხავი სხვა არის: სრულ მზადყოფნაში დახვდებიან ფერმის მუშაკები მთიდან მობრუნებულ ჯოგს?

ჯერ საკვების თაობაზე. მისი დამზადების ტემპი არადამაკმაყოფილებელია. შარშანდელთან შედარებით აქ 1.150 ტონით ნაკლები სენაჟია მომარაგებული. არ შესრულებულა თივისა და ნამჯის დამზადების გეგმები. ამჟამად მიმდინარეობს სილოსის ჩადება. საგეგმო 1.500 ტონიდან ჯერჯერობით 200 ტონაა ჩადებული. რუისპირელები იმედს არ კარგავენ, რომ საკვების კიდევ მნიშვნელოვან მარაგს მიუმატებენ არსებულს, მაგრამ საბოლოო ჯამში წინა წლების დონეს მაინც ვერ მიაღწევენ. ამის ძირითად მიზეზად გვალვას ასახელებენ, თუმცა სახნავ-სათესის უმეტესი ნაწილი სარწყავშია მოქცეული და უფრო მეტი მონდომების და ორგანიზებულობის შედეგად შეიძლებოდა დანაკარგების შემცირება.

რაოდენობასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია საკვების ყუათიანობაც. ამ მხრივაც საკმაო ნაკლოვანებებია. სილოსის ჩადება ტექნოლოგიური ნორმების დარღვევით მიმდინარეობს — ღია ორმოს აწვიმს, რაც ცხადია, აუარესებს სილოსის ხარისხს. საერთოდ ბოლოდროინდელმა ნანატრმა ნალექებმა საფიქრალი გაუჩინა რუისპირელ მეცხოველეებს — გარდა იმისა, რომ სასილოსე მასის ჩადება ფერხდება. რადგან კომბაინები ნაკვეთში ველარ შედიან. თვალსაჩინო გახდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე ძლიერი ქარების მიერ მიყენებული ზიანიც. სახურავი სანახევროდ ახდილია და წყალი ჩადის საკვების შემამზადებელ საამქროში, რაც, რა თქმა უნდა, აქ მდგომ აგრეგატს ხეირს არ დააყრის. შესაკეთებელია საკვების შესანახი ფარდულებიც. კოლმეურნეობა შიფერისა და საშენი მასალების ნაკლებობას განიცდის. სწორედ ამის შედეგია, რომ ჭიანურდება მეწველი ძროხების ფერმის რემონტი. აქ ამჟამად გამწმენდი ტრანსპორტიორის და მისი ღარების შეკეთება მიმდინარეობს. ამ სამუშაოს თელავის მანქანატრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის უბანი ასრულებს. იალაღებიდან საქონლის მობრუნებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩება. სამუშაო კი ჯერ ბევრია. ჩვენი მისვლის დღეს შემკეთებლები ელექტროდენის შეწყვეტის გამო ცდებოდნენ. ამას ემატება საწვავის მწვავე ნაკლებობაც. მაგრამ მრავალ ობიექტურ წინააღმდეგობასთან ერთად, შექმნილი მდგომარეობა დღემეხვალიეობის შედეგიც არის: არსებული სინამდვილის და მრავალწლიანი პრაქტიკის გათვალისწინებით ფერმის რემონტი პირუტყვის გამოყვანისთანავე უნდა დაწყებულიყო.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მიუხედავად მრავალი სიძნელისა, რუისპირელებმა განვლილ შვიდ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 ტონით მეტი რძე აწარმოეს. შეძლებენ თუ არა ზრდის შენარჩუნებას, მომავალი გვიჩვენებს. სადღეისოდ კი საჭიროა ყველა საშუალების ამოქმედება, რათა გამოზამთრებისას ადგილი არ ჰქონდეს დანაკარგებს. ეს მოთხოვნა თანაბრად ეხება რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას, რომელთა მეცხოველეებს მეტად რთული ზამთარი ელით.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მწვავე სიგნალი

ყურძენი არის, დახლი ცარიელია

მარნეულის რაიონის ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში რთველი გაჩაღდა. იკრიფება სუფრის ჯიში „თავრიზი." ვაზისათვის არასახარბიელო პირობების მიუხედავად წელს მოსავალი დამაკმაყოფილებელია, ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერ ქარვისფერ ნაყოფს კრეფენ.

კარგი მოსავალი განაპირობა სასიკეთო ძვრებმა, რომელიც მეურნეობაში მოხდა. ამჟამად 500 ჰექტარი ვენახი, რომელთა შორის 419 ჰექტარი სრულმოსავლიანია, გაპიროვნებულია მოიჯარეებზე. ასეთი ქვედანაყოფი აქ ოცდაათზე მეტია. ჩინებული რთველი აქვთ ნანა ჩაკვეტაძის, აბას გასანოვის, ქამანდა მუსტაფაევის იჯარულ ბრიგადებს. ზვრები იჯარით გაიპიროვნეს ცალკეულმა პირებმაც, მათ შორის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, სოფლის მუშა-მოსამსახურეებმა. მეურნეობის საწყობის გამგე სულეიმან მამედოვი სამსახურებრივ მოვალეობას კარგად უთავსებს 1,4 ჰექტარი ვენახის მოვლას, დაინტერესებულია საბოლოო შედეგით, იცის რაც მეტს მოიყვანს მით მეტს საზღაურს მიიღებს და ზრუნვაც არ მოაკლო ამ ღალოცვილ მცენარეს. მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯუმშუდ რამაზანოვი გაპიროვნებული ორი ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 80 ცენტნერ რქაწითელის ნაყოფს მოელის.

— მალე სამრეწველო ჯიშების კრეფასაც შევუდგებით, თქვა მეურნეობის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა შალვა ჭილლაძემ, — წელს მთლიანად 2250 ტონა ყურძენს ვაწარმოებთ. რთვლისათვის კარგად მოვემზადეთ, შედგენილი გვაქვს გეგმა-გრაფიკი, ვიზრუნეთ ტარაზე, ყულარის ღვინის ქარხანაც შეუფერხებლივ მიიღებს და გადაამუშავებს ნედლეულს. განსაკუთრებით ყურადღებით ვეკიდებით ყურძნის ხარისხს, რათა მისგან დამზადებული ღვინო-მასალებიც ჩინებული იყოს და მეურნეობის სალაროშიც მეტი თანხები დაგროვდეს.

რთვლის პირველმა დღეებმა გვაგრძნობინა შეფერხებიც, რის გამოც აქედანვე უნდა ავტეხოთ განგაში. სუფრის ჯიშის ყურძნის ფონდები განაწილებულია და გადაცემულია სავაჭრო ორგანიზაციებზე, მაგრამ მათი მესვეურნი დიდი ინტერესით როდი ეკიდებიან ყურძნის სავაჭრო ქსელში შეზიდვას. კანტიკუნტად მოდიან ავტომანქანები მესხეთ-ჯავახეთის რაიონებიდან, თბილაგრომრეწვის წარმომადგენლები კი თითქმის არ ჩანან, არა და თბილისის ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში ყურძენი მართლაც იშვიათი ხილია.

— ამჟამად დღეში საშუალოდ მხოლოდ 10 ტონა ყურძენს ვკრეფთ, მომხმარებელი თუ გვეყოლება, შეგვიძლია სამჯერ მეტის მოკრეფა. ამით რთველსაც დავაჩქარებთ და დანაკარგებსაც შევამცირებთ. ფუტკარი და კრაზანა უკვე საკმაო ზიანს აყენებს ნაყოფს. თანაც წინ დიდი რთველია, დიდი სამუშაოები გვაქვს, — თქვა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ველგიზ მახათაძემ.

ერთი სიტყვით, ყურძენი არის, წამღები კი არა. ეს ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ. ამას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციების მესვეურნი და აქედანვე უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები არამეურნეობრიობისა და უყაირათობის აღსაკვეთად. მოწეული მოსავალი დროულად და ხარისხიანად უნდა მივაწოდოთ მომხმარებელს.

დავით ივანიძე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲤᲐᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ

თეთრი წყაროს რაიონში კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტიულ ჯგუფებში, მალე დაიწყება კრებები საამქრო პარტიულ ორგანიზაციებში, ხოლო აქედან მცირერიცხოვან (15 კაცამდე) პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გადაინაცვლებს. კომუნისტები გულდასმით აანალიზებენ გაწეულ მუშაობას, პირუთვნელად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, სახავენ პარტიის როლისა და ავტორიტეტის განმტკიცების ღონისძიებებს, თავიანთი მომავალი საქმიანობის სამოქმედო პროგრამას.

გაგაცნობთ კრებებზე კომუნისტების მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, კრიტიკულ შენიშვნასა და წინადადებას.

დავით ქავთარაძე, ალგეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ადმინისტრაციის პარტიული ჯგუფი: თუმცა უკანასკნელ წლებში ბუნება არ გვანებივრებს, დიდი ჭიდილით მაინც ვტაცებთ მას წყალობას და მომგებიანად ვმუშაობთ. შარშან გადაჭარბებით შევასრულეთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებები, გაიზარდა თითოეული მომუშავის მიერ წარმოებული პროდუქცია და გამომუშავება, შრომის ნაყოფიერების ზრდამ გაუსწრო ხელფასის ზრდას. მიმდინარე წლის ექვს თვეში გეგმიური 279 ათასი მანეთის ნაცვლად მოგება 327 ათას მანეთს შეადგენს.

საერთო წარმატებების ფონზე საკმაოდაა ჩრდილოვანი მხარეები, ნაკლოვანებანი. შარშან არ შესრულდა კარტოფილისა და ბოსტნეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის, ხორცის, რძის, კარტოფილის, მარცვლეულის, ბოსტნეულის წარმოების დავალებანი, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის, საქონლისა და ღორის წონამატების გეგმები. რაც განსაკუთრებით სავალალოა, გაძვირებულია თითქმის ყველა სახის პროდუქციის წარმოების თვითღირებულება.

შექმნილ მდგომარეობას აქვს სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. კერძოდ, გვალვის გამო შემცირდა მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოება, რამაც, ცხადია, გავლენა იქონია მეცხოველეობის პროდუქტიულობაზე. ამას დაემატა ის, რომ ვერც კომბინირებულ საკვებს ვღებულობთ საკმაო რაოდენობით და დადგენილი გრაფიკით, ხოლო რესპუბლიკური ორგანოები მას დასავლეთ საქართველოს დაშორებულ რაიონებში გვიგეგმავენ და ტრანსპორტის ხარჯები ძვირი გვიჯდება. ზოგჯერ გაგზავნილი ავტომანქანა ცარიელი გვიბრუნდება უკან, ქარხანაში საკვები არ იყოო. ფერმებში დაბალია შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე, ამ მხრივ არც მემცენარეობაში გვაქვს ყველაფერი რიგზე, გვაკლია ტრაქტორები და სხვა ტექნიკა, ხოლო საწვავსა და სათადარიგო ნაწილებზე საუბარმა ისე დაგვღალა, რომ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. უკანასკნელ წლებში თითქმის ორჯერ გაძვირდა კომბინირებული საკვები, აგრეთვე ტექნიკა და სხვა მასალები. ისე რომ, არც ხორცის, არც რძისა და სხვა პროდუქტების ფასი არავის მოუმატებია. ერთი სიტყვით, მომარაგება გაუარესდა, თანხებს გაცილებით მეტს ვიხდით, ეს კი შემოსავლის უკუპროპორციულია.

მთავარი მაინც ის არის, რომ სუსტია პარტიული ჯგუფების, კომუნისტების გავლენა, მათი ხელმძღვანელი და წარმმართველი, ავანგარდული როლი. მეურნეობის ადმინისტრაციის პარტიულ ჯგუფში 8 კომუნისტია. ისინი ხელმძღვანელ რგოლს წარმოადგენენ, რომლებზეც უშუალოდ დამოკიდებულია შრომითი კოლექტივის წინსვლა. ეს ამოცანები მათ სწორად აქვთ გაგებული, მაგრამ აკლიათ მთავარი — მათი შესრულებისათვის აქტიური ბრძოლის სურვილი და ქმედითი ღონისძიების განხორციელება. უამისოდ წარმოუდგენელია როგორც თითოეული ხელმძღვანელი მუშაკისა და სპეციალისტის, ისე თითოეული კომუნისტის ავანგარდული როლის წარმოჩენა. მართალია, პარტიულმა ჯგუფმა (პარტჯგუფორგი ფირუზ სომხიშვილი) გარკვეული მუშაობა გასწია საანგარიშო პერიოდში, რომელიც ზუსტად ერთ წელს მოიცავს, მაგრამ მოვალე იყო გაეკეთებინა გაცილებით მეტი. კომუნისტებმა ხმა უნდა აღიმაღლონ მუქთახორობის, სპეკულანტებისა და უშრომელი შემოსავლის მოყვარულთა ასალაგმავად, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენს შორის კვლავაც ბოგინობენ, იბრძოლონ ყველა უბანზე დისციპლინისა და წესრიგის დამკვიდრებისათვის. სუსტად მუშაობს მეურნეობაში სახალხო კონტროლის ჯგუფი, საჭიროა მისი ამოქმედება, ფხიზელი თვალი მეურნეობის ყველა უბანს უნდა წვდებოდეს. ძირეულად უნდა გარდაქმნან მუშაობა პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რათა პირნათლად შეასრულონ მომავლის სკოლისა და ახალგაზრდობის აღმზრდელის როლი. ერთი სიტყვით, გარდაქმნა მოითხოვს ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას, მის აყვანას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, მხოლოდ ამ გზით განვამტკიცებთ პარტიის ავტორიტეტს და გავლენას მასებზე.

ლუდა მიროტაძე, თეთრიწყაროს ხანაშენე მეფრინველეობის ქარხნის ბრიგადირი: პარტჯგუფორგის კონსტანტინე ქოზაევის საანგარიშო მოხსენებაში მე და ჩემი ბრიგადა, რამდენიმე ჩემი მეგობარი სამართლიანად ვართ გაკრიტიკებული. მართლაც ფრინველის საშუალო წონამატება ჩემს ბრიგადაში გათვალისწინებულზე ბევრად ნაკლებია. გვაქვს საკვების გადახარჯვა და პროდუქციის გაძვირება. ერთი სიტყვით, ცხელი დღე გვადგას. მე, როგორც კომუნისტი, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ პარტიისა და კოლექტივის წინაშე. ისე არავინ გამიგოს, თითქოს თავს ვიმართლებდე, მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ვთქვათ, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს იგი და ვისაც არ უნდა შეეხოს. მარნეულის პურპროდუქტების კომბინატი (დირექტორი ოთარ მამედოვი) მეფრინველეთა ცუდი პარტნიორია. იგი ვერ გვაწვდის ფრინველის საკვებს საკომბიკვებო ჯგუფების მიხედვით, ამავე დროს საკვები უხარისხოა, არ შეიცავს საჭირო და აუცილებელ კომპონენტებს, ხშირად იწვევს ფრინველის მოწამვლასაც და გაწყდომასაც კი. უხარისხო საკვები აფერხებს ფრინველის ზრდას. ერთი სიტყვით, ამ მხრივ რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით. რამდენჯერ გვითქვამს ამაზე, მაგრამ სიტყვა ყოველთვის ქარს გატანებული გამოდგა. რა გასაკვირია, არსებობდა უკრიტიკო ზონები, სადაც არავინ არავის თხოვდა პასუხს. მარნეულელი პარტნიორებიც თავს არხეინად გრძნობდნენ. ახლა ასე აღარ უნდა მოხდეს. მარნეულის რაიონს ახალი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა ყავს. იმედია, ისინი პურპროდუქტების საწარმოთა საქმიანობაში კომპეტენტურად ჩაერევიან და გადამჭრელ ზომებს მიიღებენ ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ჩვენც, ქარხნის კომუნისტებიც, ვცოდავთ ბევრ რამეში, არადამაკმაყოფილებლად ვზრუნავთ ფრინველის გაწყდომის ასაცილებლად, ვერ ავამაღლეთ ზოოვეტერინარული მომსახურების დონე, აღმოფხვრილი არ არის წვრილმანი ქურდობისა და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები. სხვა მხრივ ქარხანა სწორ გზას ადგას. აქ კომუნისტების წინამძღოლობით მარჯვედ ეძიებენ წარმოების ზრდის რეზერვებს და საერთო წარმატებები გვაქვს. მას კიდევ უფრო განვამტკიცებთ, თუ ყველა ერთნაირი ძალისხმევით ვიღვაწებთ და არ დავაღალატებთ კოლექტივს.

ფირუზ ალდგომელაშვილი, ვაშლოვანის საბჭოთა მეურნეობის პარტჯგუფორგი: სარწყავი მიწათმოქმედება სტაბილური მოსავლის გარანტიაა. ქვემოქართლელ მიწათმოქმედთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მწყობრში ჩადგა ალგეთის წყალსაცავი. გვეგონა, რომ ხორცი შეესხა მრავალსაუკუნოვან ოცნებას, მაგრამ ფრთები მალე შეგვეკვეცა. წელს ალგეთის წყალსაცავიდან ვერ ვიღებთ მაცოცხლებელ ტენს, უჭირს გულგამომშრალ მიწას, უჭირს მცენარეს, ჩაწვა ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესები, ზარალი მრავალ ათას მანეთს შეადგენს. წყალსამეურნეო ორგანიზაციების მესვეურებისათვის ეს სეზონი მწარე გაკვეთილად უნდა დარჩეს, აქედანვე ყველაფერი უნდა იღონონ, რათა შემდგომში მაინც არ გაგვაწბილონ.

პრეტენზიები გვაქვს მათ მიმართ, ვისაც მეურნეობების ბოსტნეულის თესლით უზრუნველყოფა ეხებათ. წარვადგინეთ განაცხადი ხეინეცის ჯიშის პამიდვრის თესლზე და მისი ღირებულების თანხებიც გადავიხადეთ. ფაქტობრივად სულ სხვა თესლი მოგვცეს, რომელიც უფრო დაბალმოსავლიანია. სწორედ ეს გახლავთ მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის შესუსტების შედეგი. ეს დარღვევები პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონის შედეგია.

გიორგი ტატუაშვილი, თიანეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზაციის პარტიული ჯგუფი: პარტიის აგრარული პოლიტიკა სხვა ღონისძიებებთან ერთად კოლექტიური მებაღეობის განვითარებასაც ითვალისწინებს. ჩვენ ვიწონებთ პარტიის პოლიტიკას, მაგრამ ამასთან არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ჩვენი რაიონი, ცოტა არ იყოს, უხერხულობაში აღმოჩნდა. მიწების დიდი ნაწილი — 900 ჰექტარზე მეტი კოლექტიურმა მებაღეობამ მოგვტაცა, ნაწილი — მეწყერებმა და სხვა არასასურველმა მოვლენებმა. ამ ფრონტზე შემოტევა კვლავ გრძელდება. მარტო ჩვენი მეურნეობიდან მებაღეობისათვის გამოყოფილია 185 ჰექტარი. ეს განაპირობა რაიონის თბილისთან სიახლოვემ, რის გამოც ყველა აქეთ მოისწრაფვის. ვისაც აღნიშნული უშუალოდ ეხება, უნდა მოისმინოს ჩვენი გულისთქმა და უნდა შეაჩეროს ეს პროცესი, თორემ ჩვენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასაც ვერ გავზრდით და ისედაც შევიზღუდებით, ახლანდელ შეცდომებზე ნათქვამს ბოლოს ფასი არ ექნება.

• • •

— წლის ყველაზე დიდ პარტიული ჯგუფის კრებებზე სხვა ბევრი ცხოვრებისეული საარსებო საკითხიც დააყენეს, — ამბობს პარტიის თეთრიწყაროს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე მევლუდ წიკლაური. მოითხოვეს სანარდო იჯარის ფორმებისა და მეთოდების დახვეწა და ადგილობრივი პირობების მისადაგება, სამეურნეო საქმიანობის იდეოლოგიური უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კომპეტენტური კადრებით განმტკიცება, პარტიის რიგების ზრდა მასში მოწინავე ახალგაზრდობის მიღებით, პარტიული ჯგუფებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ზრდა, მათი ავტორიტეტის განმტკიცება, ბრძოლისუნარიანობის ამაღლება. მასებზე გავლენის სფეროს გაფართოება, რასაც თანამედროვე გარდაქმნის პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

კრებებზე გამოთქმულ ყველა მოსაზრებას, კრიტიკულ შენიშვნას, წინადადებას კვირაში ერთხელ გულდასმით განიხილავენ პარტიის რაიკომში და იღებენ გადაწყვეტილებას, იგი ეგზავნება იმ ორგანიზაციებსა და პირებს, ვისაც უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრება მათ შესრულებაზე. რაიკომის დავალებით ისინი მოვალენი არიან რაიონული გაზეთის საშუალებით დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულის შესრულებაზე, განსაზღვრავენ მის ვადებს. თუ არ ძალუძთ საკითხის ადგილზე გადაწყვეტა, ამას ზემდგომი ორგანოებიდან მოითხოვენ. საჯაროობის ეს ფორმა კომუნისტებს რწმენას უნერგავს, რომ მათ სიტყვას ფასი აქვს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲘᲬᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ: ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲔᲑᲗᲐᲜ

„ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ"...

ᲛᲔ ვფიქრობ: იმის მიზეზი, რომ ხელმძღვანელ მუშაკებს საკმაო ხანს უწევთ თავიანთი ავტორიტეტის მოსაპოვებლად ბრძოლა მასებში, ისიც არის, რომ ხალხმა ბევრი რამ არ იცის მათ შესახებ. კერძოდ, რა ცხოვრებისეული გამოცდილებით, რა მრწამსით იღვწოდა დღემდე. მჯერა, გარდაქმნამ ეს კულტურაც უნდა შეგვძინოს.

აი, ამიტომ გადავწყვიტეთ გლდანის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ვახტანგ კიკნაძის საქმიანობის გაცნობა მისი განვლილი ცხოვრების გზით დავიწყოთ. ვინ იყო, რას აკეთებდა ეს ახალგაზრდა კაცი, როგორ მოვიდა თავმჯდომარის პოსტამდე?

ვუსმენდი ვახტანგს და ვფიქრობდი, ყოველგვარი სიკეთის წყარო, რაც კი ქართველ ხალხს გრძელი ისტორიის მანძილზე შეუქმნია მაღალ ნიჭიერებასთან ერთად, შრომა და შრომისმოყვარეობაა.

როცა გაიცნობ, მიხვდები მისი საქმიანობის უპირველესი პრინციპი დისციპლინაა. სოფელ ბეკამში შრომით დაღლილ ბიჭს მამა არავითარ შეღავათს არ აძლევდა, დღესაც ახსოვს, ერთხელ ოთხიანის მიღებისათვის როგორ დატუქსეს.

— მცონარა და უსაქმურის ყოლას, შვილი სულ არ გყავდეს, ისა სჯობიაო — ამბობდა მამამისი. აკი თვითონაც ამ აზრისაა.

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებში თამაშობდა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტი მთელი ორი წელი ელექტრომომარაგების უბანზე ელექტრომონტიორად მუშაობდა, მეოთხე თანრიგოსანი გახდა. ამიტომ ხშირად ესმოდა იოსებს ცოლის საყვედური.

— ემანდ არაფერი ხიფათი არ მოიწიოს ბიჭმა — მე სასწავლებლად გავგზავნე ქალაქში, ის კი ელექტრობოძებზე ეფხოტებაო.

— შრომა უნდა უყვარდეს, უსაქმურად ერთი წუთითაც ვერ უნდა გაძლოს, სწავლით კი ისწავლოს, ვინ უშლის — არ ეპუებოდა მამა.

სულ მალე ვახტანგი გულისსწორსაც შეხვდა და დაუსწრებლად განაგრძო სწავლა, არ უნდოდა მშობლებს ტვირთად დასწოლოდა, თბილისის № 1 ავტოშემკეთებელ ქარხანაში ავტოზეინკლად დაიწყო მუშაობა. ასე იმუშავა 15 წელი ზეინკლად, კონტროლიორად, ოსტატად, საამქროს უფროსის მოადგილედ, ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილედ, ტექნიკური განყოფილების უფროსად, შემდეგ პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, გაერთიანება საქავტორემონტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, მერე № 3 ტაქსომოტორების პარტიული კომიტეტის მდივნად, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორად, მოადგილედ 1985 წლის თებერვლიდან კი გლდანის რაიაღმასკომის თავმჯდომარეა.

ვახტანგს ორი ბიჭი ჰყავს. უმცროსი — კახაბერი 9 წლისაა, უფროსმა, 22 წლის პაატამ სამხედრო სამსახური მოიხადა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს დასწრებულზე სწავლობს და ელმავალმშენებელში ზეინკლად მუშაობს. 3 წლის ქალიშვილი ჰყავს, სულ მალე მეორე შვილს ელოდება...

ვახტანგს გულისხმიერი მეუღლეც ღირსეულად უწევს ჭაპანს.

აი, ასე აგრძელებენ შვილები კიკნაძეების ტრადიციებს. შრომისა და სწავლის განუყოფელობა აძლიერებს ქვეყანას, ასე სწამთ და ვახტანგსაც აკი სჯერა, ვისაც კი შრომის სამსხვერპლოზე წრფელი ზვარაკი მოუტანია, ბედი ყველას ერთნაირად სწყალობს და უთუოდ დიდი სულის პატრონიც არის. გახსოვთ, და ჩუმად ჩაიჩურჩულა:

...მუშა კაცია, მშრომელი,
მქონი დიდი სულისა...

თავაუღებელი შრომა და გარჯაა თავიდათავი იმ მიღწევებისა, იმ სასიკეთო საქმეებისა, რასაც გლდანის რაიონში ეყრება საფუძველი. ოთხი წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ ბევრი რამ გაკეთდა და ბევრსაც პირდება თავის ხალხს თავმჯდომარე.

— ახლა ის დროა, როცა პარტიამაც და საბჭოებმაც თავიანთი ავტორიტეტი საქმით უნდა განამტკიცონ. არც ერთი დღე რაიმე მიღწევის გარეშე, — ასე ფიქრობს ვახტანგ კიკნაძე, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკური სიტუაციის გამძაფრებას, მისი ფესვები ეკონომიკაშია. მას კი არც თუ ცოტა რეზერვი აქვს, რომლის ამოქმედება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ საგრძნობლად შევამციროთ დეფიციტი, დავამყაროთ წესრიგი ყველგან.

არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ახლებურად შრომას ჩვენ თანდათან ვსწავლობთ. საბჭოებისადმი ძალაუფლების გადაცემის გზაზეც ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება.

— ჯერჯერობით, მე ვფიქრობ, საბჭოები არ არის მზად ხელისუფლება მთლიანად ხელში აილონ. მთელი ძალაუფლება საბჭოებს მაშინ ექნებათ, როდესაც მძლავრი მოქმედება შეეძლებათ. ყველა საწარმო-დაწესებულების ბიუჯეტის ფორმირების დროს ადგილობრივ საბჭოებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ ხარჯები თვითონ დაგეგმონ ან აუცილებლად გაითვალისწინონ ზემდგომებმა საბჭოების წინადადებანი, — ამბობს ვახტანგი.

აღმასკომის უპირველესი საზრუნავი მრავალშვილიანი ოჯახებია, არავინ რომ არ გამორჩენოდათ, ასეთი ოჯახების პასპორტიზაცია მოაწყვეს. რამდენ კვადრატულ მეტრს ფლობენ, რამდენი სულია, აღრიცხვაზე არიან თუ არა, აქვთ თუ არა საბაღე მიწის ნაკვეთი, სურთ თუ არა, რომ ჰქონდეთ, რა დახმარებას იღებენ მთავრობისაგან, ერთ მოსახლეზე რამდენი აქვთ შემოსავალი, სად მუშაობენ და რა თანამდებობაზე, სურთ თუ არა ავეჯი და სხვა. ასეთი კითხვები ნათელს ჰფენს მათ მდგომარეობას და აღმასკომსაც უადვილებს დახმარებას.

მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის ჭარბი შემოსავლიდან უყოფენ გარკვეულ თანხას.

ასეთი ოჯახები ერთად რომ ყოფილიყვნენ, მცხეთის რაიონში მათთვის ნაკვეთები გამოიყო, — სახლის აშენების 50 პროცენტი ჩვენ გვინდა რომ გადავუხადოთ, — ამბობს თავმჯდომარე.

გლდანის რაიონში ინტერნაციონალისტთა რაიონული საბჭო შეიქმნა, ასორმოცამდე ავღანეთში ნამსახურები ახალგაზრდა ცხოვრობს აქ. ცდილობენ ყურადღება არ მოაკლონ მათ. აქვთ კლუბი, სადაც თავს იყრიან, სულ ახლახან საესტრადო ანსამბლიც ჩამოაყალიბეს. აღმასკომმა 10.000 მანეთის ინსტრუმენტები შეუძინა. უკვე დაჩქარებით ბინებიც გამოუყვეს. პირველ მიკრორაიონში მოწყობილ ღია ესტრადაზე სულ მალე ყმაწვილები პირველ კონცერტსაც გამართავენ.

გლდანელები ერთი მეტად საჭირო ექსპერიმენტის ავტორებიც არიან, ჩვენს დედაქალაქში ჯერჯერობით ისეთი რამ არსად არ არის. როგორც წესი, წარმოება-დაწესებულებებს ყოველ წელიწადს მოგებიდან გარკვეული თანხა უგროვდებათ ბინათმშენებლობისათვის, მაგრამ ეს იმდენი არ არის, რომ ერთი საცხოვრებელი სახლის აშენებას ეყოს. საბინაო პრობლემა ყველა წარმოებას აქვს. რაისაბჭოს აღმასკომში შექმნეს სამშენებლო კოოპერაციის საორგანიზაციო ცენტრი, სამი კაცის შემადგენლობით. გადაწყდა თავი მოუყარონ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა ორგანიზაციების ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილ თანხებსა და ასე აშენონ. იმისდა მიხედვით, თუ ორგანიზაციას რამდენი თანხა აქვს მიცემული, იმდენ ბინას მიიღებს. ასე გაგრძელდება შემდგომშიც.

მეტროსთან ახლოს უკვე გამოყოფილია მიწის ნაკვეთი და 140 ბინიანი სახლი შენდება.

მუხიანის პირველი მიკრორაიონის მეოთხე კორპუსში პირველად ჩვენს დედაქალაქში საოჯახო ექიმებმა დაიდეს ბინა, ადამიანები ნებისმიერ დროს სარგებლობენ მათი მომსახურებით.

ყველაზე გამორჩეულად ვახტანგს მაინც მუხიანის დასახლება უყვარს. ემაყება, როცა გაიგონებს ხოლმე ჩვენს ქალაქში უკვე დამკვიდრებულ გამოთქმას: ნოდარ დუმბაძის პროსპექტი გამორჩეულად კარგი და მიმზიდველიაო. ახლა მის პარალელურად იოსებ ნონეშვილის ქუჩის კეთილმოწყობაზე შრომობენ. მართლაც რატომ არ უნდა ცხოვრობდეს კაცი გლდანშიც ისე, როგორც ქალაქის ცენტრში? ყველაფერი საკუთარი რაიონის სამშენებლო-სარემონტო და სამრეწველო ორგანიზაციების მონაწილეობით გაკეთდა.

საწარმოო გაერთიანება „ორიონის" მუშა-მოსამსახურეებმა გამოიჩინეს ინიციატივა და ნონეშვილის ქუჩის კეთილმოწყობა ითავეს. აღმასკომმა მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას. მეორე მიკრორაიონში მოეწყობა სპორტული კომპლექსი, ფეხბურთისა და რეგბის მოედანი, დახურული საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. ნონეშვილის პროსპექტზე მოეწყობა ვიდეოდარბაზი, ვიდეოთეკასთან ერთად. მუხიანში დროებით ბაზარიც გაიხსნება, ძირითადიც მალე აშენდება.

გლდანის რაიონში დღეს 119 მარტოხელა შრომისუუნარო ადამიანი ცხოვრობს. ისინი სისტემატურ მეთვალყურეობას და მოვლა-პატრონობას საჭიროებენ. რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით თითოეულ მათგანზე შრომითი კოლექტივები არიან მიმაგრებული, რომლებიც მატერიალურადაც ეხმარებიან და მზრუნველობენ კიდეც. მათი მოვლა-პატრონობა გაძნელებულია, რადგან ისინი სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობენ.

აღმასკომმა მარტოხელა შრომისუუნაროთა მომსახურების და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვიტა გლდანის მასივში მათთვის 50-60 ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი აშენოს.

როდესაც საერთო საცხოვრებლის ტიპის სახლებში გადადიან, ეს ძალიან მოქმედებს ადამიანებზე, ასე კი მათ ჩვეულებრივი ერთოთახიანი ბინები ექნებათ, კეთილმოწყობილი ეზოებით, ყველა საჭირო საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით, ამიტომაც ვფიქრობთ, ეს საუკეთესო [illegible] იქნება, [illegible] სხვადასხვა ადგილებზე გამოთავისუფლებულ ერთოთახიან ბინებს იმ წარმოება-დაწესებულებას გადასცემენ, ვინც წვლილს შეიტანს მარტოხელებისათვის ახალი ბინების მშენებლობაში.

აღმასკომში ტრადიციად დაამკვიდრეს- ახალწლის დღეს აღმასკომის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები საჩუქრებით ხელდამშვენებულნი ულოცავენ ახალ წელს მარტოხელებს, ქალებისათვის კი 8 მარტის დღესასწაულის მილოცვასაც არ ივიწყებენ.

ამას წინათ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე საყურადღებო საკითხები დააყენა ვახტანგ კიკნაძემ. ქალაქის ფარგლებში საკმაოდაა ტერიტორიები, მათ შორის გლდანის რაიონშიც, რომელიც ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვისაა (განაშენიანებისათვის) გამიზნული. ასეთი ადგილების უმრავლესობა გადაქცეულია უნებართვო ნაგავსაყრელად, ან კიდევ მიწების უკანონოდ მიტაცების პოლიგონად, რაც გარკვეულ დამატებით სიძნელეებს ქმნის მუშაობაში.

— ასეთი ადგილები, — თქვა მან, დროებით უნდა მივცეთ სასწავლო დაწესებულებებს ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. ამით გაკეთდება სამი საქმე:

ერთი, რომ დროებით, მაგრამ მაინც პატრონი გაუჩნდება ამ ტერიტორიებს.

მეორე, საშუალება გვექნება მოვიყვანოთ გარკვეული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რის დეფიციტსაც ქალაქი ასე განიცდის,

და რაც ყველაზე მთავარია, ბევრი ქალაქში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდა, რომელსაც მხოლოდ მაგიდაზე და ბაზარში უნახავს კარტოფილი, პამიდორი, ხახვი და სხვა ბოსტნეული, საკუთარი ხელით დაამუშავებს მიწას და მეტი სიყვარული გაუჩნდება მშობლიური მიწისადმი.

სასურსათო პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ გზად პარტიასა და მთავრობას ამხანაგური მებაღეობების ჩამოყალიბება და განვითარება მიაჩნია.

• • •

აღმასკომი ისეთი დაწესებულებაა, ყოველთვის გაჭირვებულები მოდიან აქ, ამას შევეჩვიეთ. არა, სატკივარი ბევრია, მაგრამ მადლობა და კარგად დაგვირგვინებული საქმე ჭარბობს მაინც.

არ მეგონა, თუ აღმასკომის თავმჯდომარე შეიძლებოდა წამლის საშოვნელად შემეწუხებინა. მასთან კი ისე თამამად მიდიან, იმ დღეს ერთი მანდილოსანი მეორედ მივიდა, ვერსად ვერ ვიშოვე კიდევ ერთი წამალი და ისევ თქვენი იმედი მაქვსო. ქალი ლოცვა-კურთხევით გავიდა ოთახიდან.

მეც თითქოს გულზე მეშვება და ვაგრძელებთ საუბარს, განა შეიძლება დღეს ვინმეს ჩვენი მომავლის ბედი არ აღელვებდეს?

თავმჯდომარესთან ამ ცოტა ხნის წინ ორი ყმაწვილი მოვიდა, ერთი—თემურ ბობოხიძე უნივერსიტეტში სწავლობს, მეორე— დათო მიქაძე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ორივე მუხიანში ცხოვრობს, თხოვეს თავმჯდომარეს საინიციატივო ჯგუფის შექმნა. დიდხანს საუბრობდნენ და ახალგაზრდები დარწმუნდნენ, რომ სწორ მისამართზე მივიდნენ, ეს ის კაცი იყო, რომელიც ყველა სასიკეთო საქმეს თავს დაადგამდა.

— ოღონდ თქვენ იმუშავეთ და ოთახსაც გამოგიყოფთ და მხარში ამოგიდგებითო, თქვენ ხომ ჩვენი საერთო საქმის წინსვლა გინდათო, — აი, ასე გამოისტუმრეს ახალგაზრდები აღმასკომიდან.

— სამშობლოს არვის წავართმევთ... თაობები ეუფლებოდნენ ერთგულებისა და შეუპოვრობის დიდ მოძღვრებას ამ სიტყვებით, — ამბობს ვახტანგი. კიდევ მრავალი თაობა დაიწყებს თავის სულიერ ბიოგრაფიას ამ სტრიქონებით. აუცილებელია ყველა ახალგაზრდა ქართველს ესმოდეს ისიც, თუ რა დგას ამ სიტყვების მიღმა, ყოველთვის ახსოვდეს, რომ პატრიოტიზმი ნიშნავს არა ცარიელი სიტყვით ქადილს, არა მომაკვდინებელ თვითკმაყოფილებას იმის გამო, რაც მზამზარეულად გადმოგვეცა წარსულისაგან, არამედ მუდმივ სულიერ მზადყოფნას ყველა სიძნელის, ყველა განსაცდელის წინაშე, — მეუბნება თავმჯდომარე.

დღეს ყველას ერთი სატკივარი გვაქვს: როგორ დავამყაროთ სიმშვიდე ჩვენს რესპუბლიკაში და როგორ ვიბრძოლოთ მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. პრობლემა საერთოა და მისი სირთულე სულაც არ გვაძლევს უფლებას, მისი გადაწყვეტა რაც შეიძლება შორს გადავწიოთ. არც ის იქნება გონივრული, ვინმემ ერთბაშად მოინდომოს ამ დიდი საკითხის გადაწყვეტა.

გავიხსენოთ ვახუშტი ბატონიშვილისეული დახასიათება ქართველი ხალხისა — შრომის, თავისუფლების, მშვიდობის მოყვარეობა და ჩვენი ხალხის დიდი ინტერნაციონალური სული. სწორედ ეს თვისებებია ქართველი ხალხის გრძელი ისტორიის ქვაკუთხედი, მისი არსებობის საფუძველი და მამოძრავებელი ძალა. ეს მინდა იცოდნენ ჩვენმა შვილებმა.

ᲛᲐᲠᲐᲓᲘ ᲐᲜᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲘ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ...

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სამრეწველო, სატრანსპორტო, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტი დღეს ნორმალურად, მთელი დატვირთვით მუშაობს. მდგომარეობა ასევე სტაბილური ხდება აფხაზეთის სოფლებში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითი კოლექტივები ცდილობენ უდანაკარგოდ აიღონ ჩაის, თამბაქოს, ბაღჩეულ-ბოსტნეულის მოსავალი, საზამთროდ მოიმარაგონ მეცხოველეობისათვის საჭირო საკვები.

ამჟამად განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა უხდებათ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს აფხაზეთში სრული წესრიგისა და სიმშვიდის დამკვიდრებისათვის. „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, რომ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრესცენტრისა და აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფის მიერ რესპუბლიკური და საოლქო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ჟურნალისტებისათვის მოწყობილ ბრიფინგზე.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთაშორის დავის ნიადაგზე მომხდარმა ტრაგედიამ არამარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. მასზე ფართოდ ალაპარაკდნენ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც. სულ ახლახან აფხაზეთში მუშაობა დაამთავრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სატელევიზიო გადამღებმა ჯგუფმა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის 7 თვის მონაცემები საგანგაშო სურათს იძლევა. სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით რეგისტრირებულ დანაშაულებათა რიცხვმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 21,6 პროცენტით იმატა, ხოლო მძიმე დანაშაულებათა რიცხვმა — 102,9 პროცენტით. ამ ხნის მანძილზე მარტო მკვლელობის მცდელობამ 141,2 პროცენტით იმატა, გაუპატიურებამ და მისმა მცდელობამ კი — 42,9 პროცენტით. არასახარბიელო ვითარებაა ქონებრივ დანაშაულებათა მხრივაც. მაგალითად, ყაჩაღობის რიცხვი — 66,6, ხოლო ძარცვისა და პირადი ქონების ქურდობისა 5 პროცენტით გაიზარდა. ქონებრივი დანაშაული რეგისტრირებულ დანაშაულებათა ნახევარზე მეტს შეადგენს. კვლავ დიდია მოქალაქეთა მიმართ ხულიგნური გამოხდომების მაჩვენებელი — მან 78,2 პროცენტით იმატა. დანაშაულებათა ეს სახეები ძალზე გავრცელებულია სოხუმში, გაგრაში, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში. ამასთან, 106,9 პროცენტით იმატა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების რაოდენობამ.

ავტონომიურ რესპუბლიკაში დამაფიქრებელი ვითარება შეიქმნა დანაშაულებათა ისეთ სახეობებთან დაკავშირებით, როგორიცაა იარაღის გატაცება. თუ შარშან 7 თვის მანძილზე ამ მიმართულებით არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, წლეულს უკვე აღძრულია 7 საქმე. აქ საგულისხმოა აფხაზეთში რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის გატაცების მიზნით თავდასხმები მილიციის რაიგანყოფილებებსა და გასამხედროებული დაცვის საგუშაგოებზე, სხვა დაწესებულებებზე. ამ მოვლენათა ლოგიკური გაგრძელება შეიქნა იარაღის უნებართვოდ ტარებისა და შენახვის მაჩვენებელთა ზრდა (94,4 პროცენტით). საკმარისია ითქვას, რომ დღემდე ამ სახის კანონდარღვევისათვის მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო განყოფილებამ 63 სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

— შეიძლებოდა თუ არა მომხდარი ტრაგედიის თავიდან აცილება ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების ძალებით? — ამ შეკითხვის პასუხად აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გივი ლომინაძე, ვითარების ანალიზის საფუძველზე, აცხადებს, რომ თამამად შეიძლებოდა სიტუაციის რეგულირება მილიციის ადგილობრივი ძალებით. მაგრამ მოხდა ყურადღების ყოვლად დაუშვებელი მოდუნება, რამაც მოძმე ხალხებს შორის დატრიალებულ სავალალო ტრაგედიამდე მიგვიყვანა.

ზოგიერთს აინტერესებს, რატომ არ იძიებს საკავშირო პროკურატურა ივლისში მომხდარ დანაშაულობათა ფაქტებს და რატომ გახდა იგი მხოლოდ საქართველოს სსრ პროკურატურის პრეროგატივა? ამის შესახებ საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი კონსტანტინე მასლოვი განმარტავს, რომ 15 ივლისს აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საკითხის შესწავლა დაიწყო საქართველოს სსრ პროკურატურის ოპერატიულმა საგამოძიებო ბრიგადამ. ბრიგადაში 10 საგამოძიებო ჯგუფია, რომლებიც რეგიონში მუშაობენ რაიონების მიხედვით. ბრიგადაში შედის 94 გამომძიებელი საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და რსფსრ-დან და ამდენივე ოპერატიული მუშაკი. ამ ბრიგადის სერიოზული ყურადღების საგანია იმ პირთა საქმეების ძიებაც, რომლებიც თავს დაესხნენ მილიციის რაიონულ განყოფილებებს ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლების მიზნით. საქმეებს ძირითადად საქართველოს სსრ პროკურატურის ოპერატიული საგამოძიებო ბრიგადა შეისწავლის, ხოლო დროდადრო მისი მუშაობის მსვლელობას, სისწორესა და ობიექტურობას შეამოწმებენ საკავშირო პროკურატურის წარმომადგენლებიც.

დაბოლოს, ყველაფრის მიუხედავად, აფხაზეთში მდგომარეობა სტაბილური ხდება.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲝᲒᲔᲩᲘᲐ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲘᲔᲠᲘ

ᲐᲚᲝᲝᲑᲐᲐ ვანის რაიონის შუამთის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებსა და პლანტაციებში — მიმდინარეობს ხილის კრეფა, ბოსტნეულის და სასილოსე სიმინდის აღება. ჩინებულად მუშაობს მექანიზატორთა ჯგუფი. მათ შორის ერთ-ერთი მოწინავეა ოთარ ივანიძე.

შუამთელები ყოველდღიურად ორმოებში დებენ 200-250 ტონა სასილოსე სიმინდს. შემდეგ გამოთავისუფლებულ 120 ჰექტარ ფართობზე დათესავენ ბალახს, რომელიც გამოიყენება როგორც მწვანე საკვებად, ისე თივად,

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორი ოთარ ივანიძე; კომბაინებით იღებენ სასილოსე სიმინდის მასას.

**Ი. ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ დროის უტყუარი ნიშან-თვისება გახდა სულ ახალ-ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმოქმნა. მოქმედების ფორმებისა და მეთოდების საგრძნობი განსხვავების მიუხედავად, მათ აერთიანებთ სწრაფვა, მიაღწიონ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის, სოციალურ-ეკონომიკური, სულიერი, ეროვნული განვითარების პროცესების სტაბილურ დამკვიდრებას. მაგრამ ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას. აქ საგრძნობი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ კონტაქტებს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან, რომლის კოლეგიამ მიიღო სპეციალური დადგენილება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ.

დღეს ასეთ ორგანიზაციათა უმრავლესობის მიმართულება ემთხვევა გარდაქმნის კურსს. მაგრამ არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმაზეც, რომ ზოგიერთი მათგანის მიერ არჩეული გზები ილუზორული, არარეალურია, აკლია იურიდიული დასაბუთება, ეწინააღმდეგება არა მარტო კონსტიტუციურ დებულებებს, არამედ აღიარებულ მორალურ და სამართლებრივ ნორმებსაც. გარდა ამისა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მცდარად განმარტავს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების არსს, რაც, კერძოდ, იმის შედეგია, რომ ცუდად იციან კანონმდებლობა. ყოველივე ეს ერთად აღებული ართულებს ვითარებას, ამწვავებს ეროვნებათა ურთიერთობას.

იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ, რომელიც არ მალავდა თავის გულისტკივილს შექმნილი სიტუაციის გამო, აღიარა, რომ სისტემის მუშაკებმა ასეთ პირობებში ვერ შეძლეს გამოეჩინათ ახსნა-განმარტებითს საქმიანობაში სათანადო ორგანიზებულობა, პრინციპულობა და მიზანდასახულობა, აგრეთვე საკანონმდებლო ინიციატივა.

დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით კოლეგიამ მიზანშეწონილად ცნო, ძირფესვიანად შეიცვალოს იუსტიციის ორგანოების მუშაობის სტილი, რათა ისინი უფრო დაუახლოვდნენ ხალხს, მოაგვარონ ორმხრივი კონტაქტები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან. გაუწიონ მათ საჭირო დახმარება საჭირბოროტო საკითხების დასაბუთებულ დაყენებასა და საპარლამენტო გზით მათს გადაჭრაში. მისასალმებელია, რომ სამინისტრო მზად არის დაიწყოს მუდმივი დიალოგი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან საზოგადოების მთელ ჯანსაღ ძალებში ერთიანი პოლიტიკის გამოსამუშავებლად.

დადებითს შეფასებას იმსახურებს ისიც, რომ იუსტიციის სამინისტრო თანამშრომლობას, როგორც იტყვიან, ხელცარიელი როდი იწყებს. მაგალითად, ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნით განხორციელდა რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობისათვის ისტორიული ბედუკუღმართობისა და სხვა მიზეზების გამო დაკარგული ეროვნებისა და გვარების აღდგენის დიდი სამუშაო.

კოლეგიის დადგენილებით შეიქმნა სპეციალური ჯგუფი იუსტიციის სამინისტროს და მისი ქვეგანყოფილების ხელმძღვანელებისაგან საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად. დამტკიცდა თანამშრომლობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ერთობლივ ღონისძიებებს. მათ შორის არის საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველყოფის სამართლებრივ დასაბუთებათა შემუშავება, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის სამართლებრივი უზრუნველყოფა, კონსტრუქციულ წინადადებათა შემუშავება ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით და სხვა არანაკლებ აქტუალური პრობლემები. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲜᲐᲞᲘᲠᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲖᲦᲕᲐ

ᲤᲝᲗᲨᲘ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის" მიერ განხორციელებულ სამუშაოთა წყალობით ქალაქის მცხოვრებლებს დიდი კუნძულის რაიონში დაუბრუნეს დაახლოებით 80 მეტრი პლაჟის ზოლი. ეს რაიონი განსაკუთრებით განიცდიდა ეროზიას და ზღვა რეცხავდა. სპეციალისტებმა თავიანთი მეცადინეობა მოახმარეს ზღვის ტალღის ენერგიის გარდაქმნას დამანგრეველიდან აღმშენებლობით ძალად. ამისათვის გამოიყენეს პლაჟის წარმომქმნელი მასალების დარიყვით ხმელეთზე ტალღების ზემოქმედების ზონის ხელოვნური გამდიდრების მეთოდი. სპეციალური მილსადენით ნაპირზე იგზავნება მდინარის ქვიშა, შემდეგ კი ზღვა შეუფერხებლად იწყებს თავის აღმშენებლობით მოქმედებას, ზრდის პლაჟს.

ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲗ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ რაიონში უპირველესი მნიშვნელობის ამოცანადაა გამოცხადებული სოფელ საქადაგიანოში სვანეთიდან ჩამოსახლებულთათვის ბინების მშენებლობა. მშენებლობაზე მომუშავეთა უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრებია. სვანები მონაწილეობენ სახლების მშენებლობაშიც. საწარმოო გაერთიანება „კასპცემენტი", კასპის აგურის ქარხანა და სხვა საწარმოები მშენებლებს აწვდიან საჭირო მასალებს აქ საკმარისად აქვთ მანქანები და სხვა ტექნიკა. სვანებისათვის ბინები შენდება ორ ახალ უბანში, რომლებსაც მშენებლები პირველ და მეორე ზონას უწოდებენ. პირველ ზონაში სულ უნდა აშენდეს 112 სახლი, აქედან 62 სახლი წელს, მეორე ზონაში კი 88 სახლი. პარტიის კასპის რაიკომის მეორე მდივანი თამაზ სადუნიშვილი ყოველდღიურად ეცნობა მშენებლობის საქმის ვითარებას, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება კიდეც.

განვიხილავთ პროექტს: სუვერენიტეტის გზა

ენერგეტიკის დღევანდელობა და მომავალი

ენერგეტიკის მნიშვნელობა ყველასათვის კარგად არის ცნობილი, ამიტომაც ამაზე ყურადღებას არ შევაჩერებთ. ვილაპარაკებთ მხოლოდ იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად რესპუბლიკის ენერგეტიკაში და იმ ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, აუცილებელია იმისათვის, რომ ენერგეტიკამ თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრაქტიკულ განხორციელებაში.

შეწყდა ხუდონჰესის მშენებლობა, გაურკვეველია ნამახვანჰესის მშენებლობის საკითხი, შეფერხდა რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის დაჩქარებული განვითარების პროგრამის განხორციელება.

მიმდინარე წლის მარტში სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერებამ კიდევ უფრო დაძაბა ელექტროსიმძლავრის და ენერგიის ბალანსი როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის გაერთიანებულ ენერგოსისტემაში სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერების მიუხედავად, ელექტროენერგიაზე რესპუბლიკის მოთხოვნილება გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში სრულად კმაყოფილდება და წელიწადის ამ პერიოდისათვის უახლოეს წლებშიც არ უნდა ველოდოთ სერიოზულ სიძნელეებს. ეს შესაძლებელი გახდა უწინარესად იმან, რომ საპროექტო ნიშნულს მიაღწია ენგურჰესის თაღოვანმა კაშხალმა, რამაც უზრუნველყო ამ სადგურის სიმძლავრეთა უკეთ გამოყენება წყალუხვობის პერიოდში. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე რიონზე, მტკვარსა და სხვა მდინარეებზე მოქმედი საშუალო და მცირე ჰესები, რომელთა გამოყენება საშუალებას გვაძლევს სარემონტო კამპანია ნორმალურად ჩავატაროთ ენერგოსისტემის საბაზისო ელექტროსადგურებში, უწინარესად თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში (თბილსრესში). იმის დასადასტურებლად, თუ რა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს თბილსრესის მომზადებას შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის, საკმარისია ითქვას, რომ ყოველწლიურად ამ სადგურის რემონტისათვის გამოიყოფა 7-8 მილიონი მანეთი.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის დამლევს აღნიშნულ სადგურში გათვალისწინებულია 300 მეგავატი სიმძლავრის ახალი ენერგობლოკის ამოქმედება. ასეთივე სიმძლავრის ენერგობლოკი ამოქმედდება აზერბაიჯანის ახალ სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურშიც. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი საპროექტო სიმძლავრის ათვისებას რამდენიმე თვე დასჭირდება, ამიერკავკასიის გაერთიანებულ ენერგოსისტემაში მწყობრიდან გამოსულ სიმძლავრეთა ნაწილობრივი კომპენსაციაც კი მომავალი წლის გაზაფხულამდე არ არის მოსალოდნელი.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმეში ძირითადი სიძნელეები 1989-90 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში წარმოიშობა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამ პერიოდში თავი დავაღწიოთ მოსალოდნელ გართულებებს?

პირველ რიგში აქ უნდა გამოვყოთ საბაზისო ელექტროსადგურებისა და ძირითადი ელექტროქსელების მზადყოფნის საკითხები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება 500 კილოვოლტი ძაბვის სისტემათშორისი ელექტროგადამცემი ხაზების ნორმალურ ფუნქციონირებასაც, რომელთა მეშვეობით საქართველოს ენერგოსისტემა მიიღებს ელექტროენერგიას აზერბაიჯანისა და საერთო-საკავშირო ენერგოსისტემებიდან იქ არსებული რესურსების შესაბამისად.

შიგასასისტემო ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზების მუშაობაზე იქნება დამოკიდებული არა მარტო სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ნორმალური ელექტრომომარაგება, არამედ ენგურჰესის, შაორის, ტყიბულისა და ხრამჰესის წყალსაცავებში დაგროვილი ჰიდრორესურსების ეფექტიანი და ეკონომიური გამოყენებაც.

ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მზადყოფნის დასახულ ღონისძიებათა მიუხედავად მომავალ ზამთარში მოსალოდნელია ელექტროსიმძლავრისა და ენერგიის დაუფარავი დეფიციტი, რომელმაც უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მოხმარებული რესურსების 10-15 პროცენტი შეადგინოს, თუ ენერგოსისტემაში არ განხორციელდა მათი შემცირების ეფექტიანი ღონისძიებები. პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გათბობის სისტემების ნორმალური ფუნქციონირების საკითხებს, აგრეთვე თხევადი და მყარი სათბობით მოსახლეობის იმ ნაწილის მომარაგების საკითხს, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის ცენტრალური გათბობის სისტემებით.

ამ საკითხების მოგვარებას წელს, როგორც არასდროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, როგორც ეს გასული წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ელექტროენერგიის მოხმარება ზამთრის პერიოდში, ზაფხულის თვეებთან შედარებით ერთიორად იზრდება.

არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა დარგის საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ ელექტროსიმძლავრისა და ენერგიის დაწესებული ლიმიტების უცილობელ დაცვას ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების ხარჯზე.

1989-90 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ მომავალი წლის დამლევისათვის რესპუბლიკის ენერგოსისტემაში მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესდება. გაითვალისწინა რა ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობა, რესპუბლიკის მთავრობისა და მოძმე რესპუბლიკების მთავრობათა მოთხოვნების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ მიიღეს სათანადო გადაწყვეტილებები. კერძოდ, 1990 წლის IV კვარტალში თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში გათვალისწინებულია დამატებით 600 მეგავატი საერთო სიმძლავრის ორი ახალი ენერგობლოკის ამოქმედება.

ალსანიშნავია ისიც, რომ ახალი ენერგობლოკები იმუშავებენ ბუნებრივ გაზზე, რაც დაიცავს გარემოს იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც თან ახლავს მაზუთზე მომუშავე ენერგობლოკებს. იმისათვის, რომ შეიცვალოს თბილსრესის მოქმედი, ფიზიკურად მოძველებული ენერგობლოკები, აგრეთვე სათბობის ეკონომიის მიზნით სადგურის გაფართოების შემდეგ გათვალისწინებულია დაიწყოს მისი რეკონსტრუქციის სამუშაოები.

მრავალი წლის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ რესპუბლიკაში ენერგეტიკული ბაზის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის უპირატესი მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე თბოელექტროსადგურებს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა ეს არ გამორიცხავს ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის აუცილებლობასაც. თბოელექტროსადგურების მშენებლობისათვის დიდი დრო არ არის საჭირო, მათი სიმძლავრეების ეფექტიანობა კი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, აშკარაა.

ალსანიშნავია ერთი გარემოება. როცა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ელექტრომომარაგების საიმედოობას ვეხებით, დამაფიქრებელია, რომ საბაზისო სიმძლავრეების 85 პროცენტი აღმოსავლეთ საქართველოშია განლაგებული. ასეთ ვითარებაში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში შიგასასისტემო ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზების მუშაობაში მცირე შეფერხებაც კი იწვევს დასავლეთ საქართველოში განლაგებულ სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და მოსახლეობის შეზღუდვას ელექტროენერგიის მოხმარებაში. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არის გათვალისწინებული ახალი საბაზისო ელექტროსადგურის მშენებლობა დასავლეთ საქართველოში. თუ რომელ რაიონში აიგება იგი, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ადგილი შეირჩევა საკითხის გულდასმით შესწავლის შემდეგ. ეს კი ძირითადად დაეყრდნობა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობის აზრს.

თბილისისა და მარნეულის თბომომარაგების გაუმჯობესების, მცირე სიმძლავრის საქვაბეების ლიკვიდაციის, ელექტროენერგიის გამომუშავების, სათბობის ეკონომიისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით პერსპექტივაში გათვალისწინებულია აგრეთვე თბილისის ახალი თბოელექტროცენტრალის მშენებლობა.

აღნიშნული თბოელექტროსადგურების ამოქმედება საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ენერგოსისტემაში შემავალი ელექტროსადგურების სიმძლავრეების სტრუქტურა, შევქმნათ მყარი ენერგეტიკული ბაზა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, აგრეთვე გარკვეული რეზერვი, რაც აუცილებელია ენერგოსისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

რესპუბლიკაში ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის ავკარგიანობის საკითხი საბოლოო გადაწყვეტას მოითხოვს. ჩვენი ღრმა რწმენით, უთუოდ გაუმართლებელი იქნებოდა ამ სიმდიდრის გამოუყენებლობა. ვფიქრობთ, საქართველოს მდინარეთა გონივრული ათვისება კვლავაც უნდა გაგრძელდეს. გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ყოველი მნიშვნელოვანი ჰესის, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგის ნებისმიერი ობიექტის მშენებლობას, აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. საკითხი კი, ცხადია, მათი ურთიერთშეჯერებით და სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური დასაბუთებით უნდა გადაწყდეს.

აუცილებელია ახალი მაგენერირებული სიმძლავრეების ამოქმედებასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ენერგოსისტემაში არსებულ ელექტროსადგურთა სიმძლავრეების უკეთ გამოყენების საკითხსაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასოფლო დანიშნულების ელექტროქსელების მოწესრიგებას, რომელთა ტექნიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ არასახარბიელოა.

რესპუბლიკის ელექტროენერგიით უზრუნველყოფაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მისი ეკონომიური და ეფექტიანი გამოყენების საკითხს. ზემოთ უკვე ჩამოვთვალეთ შესასრულებლად არც თუ ისე მარტივ ღონისძიებათა ნუსხა, თუმცა მათი განხორციელება არ არის დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებების გამოყოფასთან თუ დროის ფაქტორთან და შეიძლება შესრულდეს სამუშაოთა სწორი და ზუსტი ორგანიზაციის საფუძველზე.

გვინდა შევეხოთ ღონისძიებებს, რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს და დროს, მაგრამ მათ გადაწყვეტას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს როგორც ენერგეტიკის დარგის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ისე სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად.

პირველ რიგში ეს ეხება ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის იმ ნაწილის გაზიფიკაციას, რომლებიც დღეისათვის არ არიან უზრუნველყოფილი ცენტრალური თბომომარაგებით. იმის გამო, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი არასაკმარისად მარაგდება მყარი და თხევადი სათბობით, ხშირად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ადგილი აქვს გათბობის მიზნით ელექტროენერგიის მასობრივ გამოყენებას. ამის შედეგად მისი დანაკარგები ენერგოსისტემაში ზამთრის თვეებში 20 პროცენტს აღწევს, მაშინ როცა ზაფხულში 8-9 პროცენტს არ აღემატება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაღალმთიან რაიონებში ტყის უსისტემო ჭრას შეშის დამზადების მიზნით, როგორც ცნობილია, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და მძიმე შედეგები მოჰყვა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მოსახლეობის თბოენერგიით უზრუნველყოფის საქმეში ძირითადი როლი ბუნებრივმა გაზმა შეასრულოს. ამ საკითხთან დაკავშირებით ფართო საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის გაზიფიკაციისა და აღნიშნულ თბოელექტროსადგურთა ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის საკითხი ვერ გადაიჭრება, თუ რაც შეიძლება მალე არ გადაწყდა ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის ამჟამად შეჩერებული მშენებლობის საკითხი.

გარდა ამისა, გაზსადენის საექსპლოატაციოდ გადაცემა გადაწყვეტს რესპუბლიკის საიმედო გაზმომარაგების პრობლემას შემოდგომა-ზამთრის პერიოდში და უზრუნველყოფს მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების მაზუთიდან ბუნებრივ გაზზე გადაყვანას, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს ადგილებზე გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ქალაქებისა, და სოფლების გაზიფიკაციის დაჩქარების გადაუდებელ აუცილებლობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ შარშან მოიხმარა 824 მილიონი კუბური მეტრი გაზი, მაშინ როცა უფრო მცირერიცხოვან მოძმე სომხეთში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 1438 მილიონი კუბური მეტრი.

არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მაღალმთიანი რაიონის გაზიფიკაცია ეკოლოგიური თვალსაზრისით ტრასის სირთულისა და სხვა მიზეზების გამო არ იყოს მიზანშეწონილი. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ სათბობად ძირითადად სალუმელე საწვავი, აგრეთვე ქვანახშირი უნდა იყოს გამოყენებული. ცალკეულ შემთხვევებში, როცა გამორიცხული უნდა იყოს ატმოსფერული გარემოს მცირედი დაბინძურებაც კი, შესაძლებელია გათბობის მიზნით ელექტროენერგიის გამოყენებაც, თუმცა ეს მასობრივ ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

გათბობის მიზნით ბუნებრივი გაზისა და თხევადი საწვავის ეკონომიური და ეფექტიანი გამოყენებისათვის პარალელურად უნდა გადაწყდეს მოსახლეობის შესაბამისი გამთბობი ხელსაწყოებით უზრუნველყოფის საკითხი რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანის ან რესპუბლიკაში მათი წარმოების ათვისების გზით.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის ივლისში მიიღო სპეციალური დადგენილება რესპუბლიკაში გაზიფიკაციის ტემპის შემდგომი დაჩქარების შესახებ.

რესპუბლიკაში არატრადიციული განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას სათანადო ყურადღება ექცევა. გასულ ხუთწლედში შეიქმნა და ამჟამად წარმატებით ფუნქციონირებს საპროექტო-საწარმოო გაერთიანება „სპეცჰელიოთბომონტაჟი", რომელიც ასრულებს ცხელწყალმომარაგების მიზნით სახალხო მეურნეობის ობიექტების ჰელიოსისტემებით აღჭურვის სამუშაოების მთელ კომპლექსს თავის საწარმოო ბაზაზე დამზადებულ მზის კოლექტორების გამოყენებით.

სახალხო მეურნეობაში ქარის ენერგიის გამოყენების მიზნით შარშან შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ვეტროენის" საქართველოს ფილიალი. თუმცა რიგი ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობა ხელს უშლის ფილიალს გაშალოს მუშაობა ამ მიმართულებით.

მეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ერთობ პერსპექტიული ენერგიის წყაროს — თერმიული წყლების ეფექტიანად გამოყენების საქმეში, რომლის გადაწყვეტაც „საქბურგეოთერმიის" სამმართველოს პრეროგატივაა.

არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე სხვადასხვა ობიექტებზე თბოტუმბოების დანერგვის სამუშაოები, თუმცა მათი უპირატესობა გათბობისა და ჰაერის კონდიცირების ტრადიციულ სისტემებთან შედარებით ხშირად აშკარაა.

ჩვენი რესპუბლიკის მთაგორიანი რელიეფის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სახალხო მეურნეობის ბევრი ობიექტისა და მოსახლეობის საიმედო ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად, მცირე ჰესების მშენებლობა დღევანდელი დღის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მუშაობა ამ მიმართულებით გააქტიურდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს შესაბამისი სახსრების გამოყოფა ძალიან უჭირთ.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ რესპუბლიკაში სხვადასხვა ენერგოტევად საწარმოთა შემდგომი არსებობის საკითხსაც. ზოგიერთი საეჭვოდ მიიჩნევს საქართველოში ისეთი საწარმოების შემდგომ ფუნქციონირებას, როგორიცაა ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნები, საწარმოო გაერთიანება „აზოტი". მართალია მათი გაჩერებით რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მოხმარება წელიწადში 3,5 მილიარდი კილოვატსაათით შემცირდება, გაუმჯობესდება რეგიონების ეკოლოგიური მდგომარეობაც, მაგრამ გაუარესდება მომიჯნავე დარგებისა და თვით ამ რაიონების მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სავალუტო შემოსავლების მოსალოდნელი ზრდის პირობებში აღნიშნულ საწარმოთა ფუნქციონირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გიორგი ცაგარელი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სათბობისა და ენერგეტიკის განყოფილების უფროსი;

დემურ ჩომახიძე,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრეწველობის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

უცხოეთში

საქ[illegible]
28 აგვისტო

⊙ ინდონეზია

სუხარტოს მომავალი ვიზიტის გამო

ჯაკარტა. საბჭოთა კავშირში ინდონეზიის პრეზიდენტის სუხარტოს მომავალ ოფიციალურ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ექნება ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის, კერძოდ, ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებისათვის, წერს ინდონეზიის ცენტრალური პრესა.

ისეთ პირობებში, როცა მსოფლიო გაერთიანება განიარაღების ხანაში შედის, ინდონეზიის სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტს საბჭოთა კავშირში, გაზეთ „მერდეკის" აზრით, ფართო საერთაშორისო რეზონანსი ექნება, ხელს შეუწყობს სსრ კავშირის პოზიტიური კონცეფციების შემდგომ განვითარებას მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

გაზეთი „ინდონეზია თაიმსი" იმედს გამოთქვამს, რომ შესაძლებელია მოსკოვში ხელი მოაწერონ მთელ რიგ ეკონომიკურ შეთანხმებებს, და ხაზს უსვამს ინდონეზიის დაინტერესებას საზღვაო თევზჭერისა და სავაჭრო ურთიერთობის დარგში სსრ კავშირთან თანამშრომლობის მოწესრიგებით.

◆ თურქეთი

ქურთ მუშათა წინააღმდეგ

სტამბოლი. დიარბაქირში (ამავე სახელწოდების ვილაიეთის ცენტრი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში) ჩავიდნენ თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ნეჯიფ ტორუმტაი, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების სარდლები. მათთან ერთად არიან მე-2 და მე-3 საველე არმიების სარდლებიც. მეთვალყურენი, წერს გაზეთი „თურჯუმანი", მაღალი თანამდებობის მხედართმთავართა „მოულოდნელ" ვიზიტს უკავშირებენ დაგეგმილ „დასკვნითს ოპერაციას ქურთ მუშათა პარტიის რაზმების გასანადგურებლად", რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლას ეწევიან რეჟიმის წინააღმდეგ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ოპერაციის რაიონში ესქიშეჰირიდან და მალათიიდან გადაისროლეს ავიაგამანადგურებლები. ამ თვითმფრინავებმა უკვე განახორციელეს სადაზვერვო ფრენა სავარაუდო ოპერაციის ზონის თავზე.

● იუგოსლავია

კონსულტაციები ფორუმის მონაწილეებთან

ბელგრადი. მიუმხრობლობის მოძრაობაში ყველაზე წარმომადგენლობითი თავყრილობა გახდება მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-9 კონფერენცია, რომელიც სექტემბრის დამდეგს გაიმართება იუგოსლავიის დედაქალაქში. ამ უმაღლესი დონის შეხვედრის პოლიტიკური და ორგანიზაციული სამზადისი მალე დამთავრდება. ეს აღინიშნა აქ გამართულ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის სხდომაზე.

მომავალი კონფერენციის დოკუმენტების პროექტების შემუშავების დროს, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, იუგოსლავიის მხარემ ფართო კონსულტაციები გამართა ფორუმის მონაწილეებთან. მოლაპარაკებაზე მხარი დაუჭირეს ღონისძიებებს საერთაშორისო ვითარების ახალი პირობების კვალობაზე მოძრაობის საქმიანობის ფორმების სრულყოფის, მისი დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცების ინტერესებისათვის.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნით

ჟენევა. მსოფლიოს ქვანახშირის შახტებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველ წელიწადს იღუპება ორი ათასზე მეტი მეშახტე, ანუ საშუალოდ დაახლოებით შვიდი კაცი ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. შახტებში ყველა ამ დიდი ავარიის 70 პროცენტი, რომელთა შედეგად ყოველწლიურად იღუპება ან ხეიბრდება რამდენიმე ასეული მეშახტე, აფეთქებებისა და ხანძრების მიზეზით ხდება.

ქვანახშირის მსოფლიო მოპოვება მიმდინარე საუკუნის დამლევს, სპეციალისტთა შეფასებით, ექვს მილიარდ ტონას მიაღწევს. ქვანახშირის წარმოების ეს ზრდა ნიშნავს, რომ მოპოვების პროცესში მეტი მეშახტე და ტექნიკა მიიღებს მონაწილეობას, მაშასადამე, გაიზრდება უბედური შემთხვევებიც.

ამასთან დაკავშირებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას გამოაქვს დასკვნა, რომ შახტებში მოწყობილობისა და გარემოს მდგომარეობისადმი კონტროლის დარგში მიღწეული პროგრესის, უსაფრთხოების სხვა ღონისძიებების მიუხედავად, შრომის დაცვისათვის ბრძოლის მთავარი რგოლი მაინც ადამიანია.

⊙ მოზამბიკი

ჯაშუში აღიარებს

მაპუტუ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ამზადებდა თავდასხმას მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტზე სამორა მაშელზე, რომელსაც მოკვლას უპირებდა, გამოუტყდა ჟურნალისტებს სამხრეთ აფრიკის სამხედრო დაზვერვის კაპიტანი პიტერ შოემანი. 1982 წელს იგი მოზამბიკის ტერიტორიაზე დააკავეს და მას შემდეგ პატიმრობას იხდის მაშავას სატუსაღოში.

როგორც ცნობილია, მოზამბიკის ყოფილი პრეზიდენტი იდუმალ ვითარებაში დაიღუპა 1986 წლის 19 ოქტომბერს. მისი თვითმფრინავი „ტუ-134 ა", რომელსაც საბჭოთა ეკიპაჟი პილოტობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დაიმსხვრა, როდესაც ლუსაკიდან მაპუტუში მიფრინავდა.

ფოტოინფორმაცია

1492 წლის 12 ოქტომბერს ესპანელთა ექსპედიციამ ქრისტეფორე კოლუმბის ხელმძღვანელობით ამერიკის კონტინენტს მიაღწია. ეს ამერიკის აღმოჩენის ოფიციალური თარიღია. მადლიერი შთამომავლობა ემზადება ამ მნიშვნელოვანი მოვლენის მოახლოებული იუბილეს აღსანიშნავად. ბარსელონაში ააგეს კოლუმბის ცნობილი კარაველის „სანტა მარიას" ასლი, იგი კოლუმბის ისტორიულ გზას გაიმეორებს.

ტელეტაიპის ლენტიდან

დაიწყო კამბოჯის საკითხებზე პარიზში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციის ბოლო ფაზა. მასში მონაწილეობენ კამბოჯის ოთხი მხარის წარმომადგენლები, სხვადასხვა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები.

ვენაში გაიხსნა ორდღიანი სიმპოზიუმი ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით, პალესტინის პრობლემის მოწესრიგების საკითხებზე.

კაიროში დაიწყო საერთაშორისო სიმპოზიუმი აფრიკის ქვეყნების საგარეო დავალიანების საკითხებზე.

ვარშავაში დღეს იხსნება ევროპის, აშშ-სა და კანადის ახალგაზრდა პარლამენტართა შეხვედრა.

საბერძნეთში სამოქალაქო ომის დამთავრების 40 წლისთავთან დაკავშირებით დღეს ათენში გაიმართება პარლამენტის სხდომა. სხდომის შემდეგ მოეწყობა ბერძენ პატრიოტთა სათვალთვალოდ და სადისკრიმინაციოდ შექმნილი საიდუმლო პოლიციის დოსიეების დაწვის ცერემონია.

აუცილებელი განმარტება

სიახლენი საპენსიო კანონმდებლობაში

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1989 წლის 1 აგვისტოს მიიღო კანონი „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ". ეს საკითხი დღეისათვის ძალზე აქტუალურია და მისით დაინტერესებულია მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. აუცილებელია კანონის ძალაში შესვლამდე, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე მოქალაქეებმა იზრუნონ სათანადო საბუთების შესაბამისი ორგანოებიდან მიღებისა და სოცუზრუნველყოფის განყოფილებებში მათი წარდგენისათვის, რაც ხელს შეუწყობს დაწესებული უფლებების დროულად განხორციელებას. მკითხველს ვთავაზობთ ამ სიახლეთა შესახებ სპეციალისტის წერილს, რაც იმითაა ნაკარნახევი, რომ დავეხმაროთ მოქალაქეებს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1989 წლის 1 აგვისტოს მიიღო კანონი „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ". საკითხი, როგორც ეს სათაურიდანაც ირკვევა, ეხება ამ მიმართებით გასატარებელ გადაუდებელ ღონისძიებებს, ერთგვარად წინამორბედია იმ დიდი საპენსიო კანონისა, რომელიც ამჟამად მუშავდება და მალე გამოქვეყნდება პრესაში საყოველთაო განხილვისათვის.

ამ კანონის შესაბამისად 1989 წლის 1 ოქტომბრიდან მინიმალური ოდენობით დანიშნული პენსიები გაუდიდდებათ: მოხუცებულობით პენსიონერებს და II ჯგუფის ინვალიდებს თვეში — 70 მანეთამდე; I ჯგუფის ინვალიდობით პენსიონერებს — 85 მანეთამდე, ხოლო სამამულო ომში დაღუპულ მეომართა მშობლებსა და მეუღლეებს — 60 მანეთამდე.

პენსიების მინიმალური ოდენობების გადიდებასთან ერთად ახალი კანონი ითვალისწინებს სამამულო ომის ინვალიდებისათვის, რომლებიც ღებულობენ მოხუცებულობით პენსიებს, ან ინვალიდობით პენსიებს მოხუცებულობის ნორმით, ადრე დაწესებული 15 მანეთი დანამატის დარიცხვას პენსიის მაქსიმალური ოდენობით შეზღუდვის გარეშე. ე. ი. თუ სამამულო ომის III ჯგუფის ინვალიდი, რომელსაც დანიშნული აქვს მოხუცებულობით პენსია 200 მანეთი საშუალო ხელფასიდან და გააჩნია 35 წლის საერთო და ერთ ადგილზე მუშაობის 25 წლის უწყვეტი სტაჟი, დღეისათვის ღებულობს პენსიას 120 მანეთს, — პენსიის მაქსიმალურ ოდენობას, 1 ოქტომბრიდან იგი მიიღებს 135 მანეთს (200 მანეთი ხელფასიდან პენსიის ძირითადი ოდენობა არის 100 მანეთი +20 მანეთი) დანამატი უწყვეტი და საერთო სტაჟისათვის 20 პროცენტის სახით =120 მანეთს, რომელსაც დაემატება კიდევ 15 მანეთი, სულ 135 მანეთი.

ანალოგიური მდგომარეობით 180 მანეთი საშუალო ხელფასიდან თუ დღეისათვის III ჯგუფის ომის ინვალიდი მოხუცებულობით პენსიონერი ღებულობს მაქსიმალურ პენსიას 120 მანეთს (90 მანეთი ძირითადი პენსია +18 მანეთი უწყვეტი და საერთო სტაჟის 20 პროცენტი დანამატი +15 მანეთი სამამულო ომის ინვალიდობის გამო დანამატი, სულ 123 მანეთი, მაგრამ არა უმეტეს მაქსიმალური — 120 მანეთისა), 1989 წლის 1 ოქტომბრიდან მას პენსია გაეზრდება 123 მანეთამდე. ე. ი. მაქსიმალური პენსიის საერთო ოდენობა აღარ შეზღუდავს კუთვნილი 15 მანეთი დანამატის დარიცხვის შესაძლებლობას.

ამრიგად, ახალი კანონით ყველა სამამულო ომის ინვალიდს კი არ გაუდიდდება პენსია 15 მანეთით, არამედ მათ, ვისაც ადრე დარიცხული არ ჰქონდა იგი იმის გამო, რომ მაქსიმალური პენსიის ოდენობას აჭარბებდა.

ანალოგიურად გაუდიდდებათ მოხუცებულობით ან ამ ნორმით დანიშნული პენსიები სამამულო ომის სხვა ჯგუფის ინვალიდებსაც, თუ ადრე 15 მანეთი დანამატის დარიცხვა შეზღუდული ჰქონდათ პენსიის მაქსიმალური ოდენობით.

ინვალიდობით დანიშნულ პენსიებს ასეთი დანამატი საერთოდ არ ერიცხებათ, ამასთან, ზოგ შემთხვევაში მოხუცებულობით პენსიის დანიშვნა ხელსაყრელი არ არის, რადგან ინვალიდობით პენსია უფრო მაღალია სხვა დანამატების გათვალისწინებით.

ახალი საპენსიო კანონის მიხედვით განსხვავება გაჩნდა ომში დაღუპულ მეომართა მშობლების, მეუღლეებისა და შვილებისათვის პენსიის მინიმალურ ოდენობებში. ომში დაღუპულ მეომართა შვილებისათვის პენსიების მინიმალურ ოდენობად ერთ წევრზე დადგენილია 45 მანეთი (თუ მარჩენალს სამხედრო წოდება ჰქონდა, ეს თანხა 10 პროცენტით დიდდება და განისაზღვრება 49 მანეთით და 50 კაპიკით). 1 ოქტომბრიდან იგი უცვლელი რჩება, ხოლო ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ქვრივ მეუღლეს ან მშობელს 1 ოქტომბრიდან დაენიშნება არანაკლებ 60 მანეთი (2-ზე მეტ წევრზე არა უმეტეს 120 მანეთისა). ამასთან, წოდებისათვის 10 პროცენტით გადიდება აღარ იწარმოებს, რადგან ოჯახის 1 წევრზე მარჩენალის პენსიის მაქსიმალურ ოდენობად ჯერ კიდევ 60 მანეთი რჩება.

იმ შემთხვევაში, თუ პენსია ომში დაღუპული მეომრის, სერჟანტის ოჯახის შრომისუნარმოკლებულ წევრთაგან ორს, — ქვრივ მეუღლესა და ერთ შვილს აქვს დანიშნული დღეისათვის თვეში 99 მანეთი (თითოეულის 45 მანეთი, გადიდებული 10 პროცენტით), 1 ოქტომბრიდან მათ პენსია გაუდიდდებათ თვეში 109 მანეთსა და 50 კაპიკამდე (60 მანეთი მეუღლეს +49 მანეთი 50 კაპიკი შვილს).

გარდა პენსიების მინიმალურ ოდენობათა გადიდებისა, ახალმა კანონმა, პირველად საპენსიო კანონმდებლობის ისტორიაში, მოსპო სხვაობა სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიებს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიების თანაბრად მიიღება კოლმეურნეობაში ნამუშევარი პერიოდებიც, დაწესდება დანამატები საერთო და უწყვეტი სტაჟისათვის, დაერიცხებათ დანამატი ოჯახის შრომისუუნარო წევრის კმაყოფაზე ყოფნისათვის კოლმეურნეობის წევრებსაც მუშა-მოსამსახურეთათვის დადგენილი ნორმებით.

კოლწევრის სახელმწიფო დაწესებულებებში გადაყვანის შემთხვევაში კოლმეურნეობის წევრთათვის უწყვეტი სტაჟი გამოანგარიშდება იმავე წესების დაცვით, როგორც ეს სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთათვის არის დადგენილი.

სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიებს შორის სხვაობათა მოსპობის გამო პენსიები ახალ მინიმალურ ოდენობამდე გაუდიდდებათ საკოლმეურნეო პენსიის მიმღებთ. თუ საკოლმეურნეო მოხუცებულობით პენსიის მინიმალური ოდენობა დღეისათვის თვეში 40 მანეთს შეადგენს, 1 ოქტომბრიდან იგი 70 მანეთამდე გადიდდება. ამასთან, ახალი გადაანგარიშების დროს ყურადღება მიექცევა ხელფასებიდან გამოანგარიშებულ პენსიებსაც, რომლებიც 10 და მეტი წლის წინათ არის დანიშნული. თუ ხელფასიდან პროცენტულად გამომუშავებული პენსია დანიშვნის წლების პროცენტის გათვალისწინებით მეტი აღმოჩნდება, პენსიებს ახალ მინიმალურ ოდენობაზე დაინიშნება ის თანხა, რომელიც მეტი იქნება, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 22 მაისის ბრძანებულებისა.

მაგალითად, კოლმეურნეს 1969 წლიდან დანიშნული აქვს პენსია და დღეისათვის 80 მანეთი ხელფასიდან ღებულობს 52 მანეთს. აქვს 17 წლის უწყვეტი და 27 წლის საერთო სტაჟი. 1989 წლის 1 ოქტომბრიდან მას პენსია მექანიკურად კი არ გაუდიდდება 70 მანეთამდე, არამედ პენსიაზე ყოფნის 20 წლის მიხედვით ხელფასის 20 პროცენტი დაერიცხება ძირითად პენსიას (52 მანეთი +16 მანეთი — თითოეულ წელზე ხელფასის თითო პროცენტი) და განისაზღვრება თვეში 68 მანეთით. აღნიშნულ თანხას კი ემატება უწყვეტი სტაჟისათვის 10 პროცენტი დანამატი, ე. ი. 6 მანეთი და 80 კაპიკი, სულ საპენსიო თანხა თვეში 74 მანეთი და 80 კაპიკს შეადგენს.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც დღემდე მოქმედი კანონით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, ეს არის არასრული სტაჟით საკოლმეურნეო პენსიების დანიშვნა მუშა-მოსამსახურეთათვის დადგენილი ნორმებისა და პირობების მიხედვით.

აქ მთავარია კოლწევრს ჰქონდეს პირობათა ერთობლიობა არასრული სტაჟით პენსიის დასანიშნად, კერძოდ, მუშაობის პერიოდში შეუსრულდეს საპენსიო ასაკი ან დადგენილი ჰქონდეს I ან II ჯგუფის ინვალიდობა კოლმეურნეობის წევრად ყოფნის დროს, ჰქონდეს ნამუშევარი არანაკლებ 5 წელი მაინც, აქედან 3 წელი პენსიაზე მიმართვის დროისათვის. ინვალიდობით არასრული სტაჟით პენსიის დანიშვნის დროს მნიშვნელობა არა აქვს სტაჟის ხანგრძლივობას პენსიაზე უფლების განსაზღვრისათვის. მთავარია I და II ჯგუფის ინვალიდად კოლწევრობის დროს იქნას იგი ცნობილი.

ახალ მინიმალურ ოდენობათა დადგენის გამო გადაანგარიშდება არასრული სტაჟით მინიმალური ოდენობით ადრე დანიშნული პენსიებიც.

1 ოქტომბრიდან პენსიები დაენიშნებათ იმ კოლმეურნე წევრებსაც, რომელთაც III ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდებათ საერთო დაავადების გამო, რასაც ადრე კანონი არ ითვალისწინებდა.

გარკვეულ თავისებურებათა გამო საკოლმეურნეოსა და სახელმწიფო პენსიებს შორის განსხვავება შენარჩუნებულია შრომის სტაჟისა და ხელფასების გამოანგარიშების დროს. შრომის სტაჟის ჩათვლის დროს გავლენას ახდენს სავალდებულო მინიმუმების შესრულება, ხოლო ხელფასების შეჯერება და პენსიის გამოანგარიშება ჯერ არ მოხდება.

ახალი საპენსიო კანონის მიხედვით, ყურადღების გარეშე არ დარჩენილან ბავშვობიდან ინვალიდები და 16 წლამდე ინვალიდი ბავშვები, კერძოდ, 1990 წლის 1 იანვრიდან 16 წლამდე ბავშვებს სახელმწიფო ყოველთვიური დახმარება გაეზრდებათ 30-დან 70 მანეთამდე, II ჯგუფის ბავშვობიდან ინვალიდებს 40-დან 50 მანეთამდე, ხოლო I ჯგუფის ბავშვობიდან ინვალიდებს — 50-დან 70 მანეთამდე.

იმავე დროიდან, ე. ი. 1990 წლის 1 იანვრიდან ოსტატებსა და მუშებს მუშაობის პერიოდში პენსიები მიეცემათ შეუზღუდავად, ხელფასების გაუთვალისწინებლად. ასეთივე წესით მიეცემათ პენსიები ინვალიდობის ჯგუფების. სამუშაოსა და გამომუშავების მიუხედავად.

დანარჩენებს, მათ შორის კოლმეურნეობის წევრებსაც, რომლებიც მუშაობენ ან მოსამსახურეებად იმუშავებენ, პენსიები მიეცემათ საერთო წესისამებრ, რომელიც დღეისათვის მოქმედებს.

პენსიების გადაანგარიშება ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს სოცუზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მუშაკების მიერ ადრე წარდგენილი საბუთების მიხედვით, ხოლო მოქალაქეებმა, რომლებსაც უფლება აქვთ კანონით გათვალისწინებული სიახლეების მიხედვით რაიმე დანამატებზე ან საერთოდ პენსიებზე, საჭიროა საბუთებითა და განცხადებით მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს.

ასმათ ქებისაშვილი,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპენსიო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე, იურისტი.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და არტისტს ამირან ვალერიანის ძე **შალიკაშვილს** მიენიჭა „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდება.

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის მხატვარ-დეკორატორს თეიმურაზ დავითის ძე **მურვანიძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის" საპატიო წოდება.

ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში წვლილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის" საპატიო წოდება მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებს:

ჯულიეტა სერგოს ასულ **სეფაშვილ-მურადელს** — მომღერალს,

სერგო სერგოს ძე **ღოღობერიძე-ნონიაშვილს** — მომღერალს.

ქართული ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში წვლილისათვის ოზურგეთის ი. სუხიშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს ამხ. ჯუმბერ ილიას ძე **დუნდუას** მიენიჭა „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

ქართული საბჭოთა მუსიკის პოპულარიზაციაში წვლილისათვის გრამფირფიტების სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდიის" თბილისის გრამჩამწერი სტუდიის ხმის რეჟისორს ამხ. მიხეილ შალვას ძე **კილოსანიძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

კონტაქტები

ქართული ენის სიყვარულით

ზაზა კორინთელი ახალგაზრდა კაცია, თბილისში დაბადებული და გაზრდილი. ამ რამდენიმე წლის წინათ, 37-ე საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ზაზა და მისი დაი — ხათუნა დედამ ამერიკის შეერთებულ შტატებში წაიყვანა, სადაც ამერიკის მოქალაქეობა მიიღეს.

ზაზამ ნიუ-იორკის კოლეჯი დაამთავრა კინოხელოვნების განხრით, ერთხანს ფიზიკურადაც მუშაობდა, ახლა კი სარეკლამო ჟურნალების ფირმას ემსახურება... გარდა ამისა, ზაზა კორინთელი გასული იანვრიდან კოლუმბიის უნივერსიტეტში ასწავლის ქართულ ენას. ამ საქვეყნოდ განთქმულ უმაღლეს სასწავლებელში ადრე ისწავლებოდა ქართული ენა — პროფესორი გიორგი ნაკაშიძე გატაცებით გადასცემდა დაინტერესებულ ახალგაზრდებს მშობლიური ენის საიდუმლოებას, მაგრამ 95 წლის პროფესორს ეს უკვე აღარ ძალუძს და ასე შეწყდა ქართული ენის სწავლება კოლუმბიის უნივერსიტეტში. და აი, გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც ზ. კორინთელმაც მიიღო მონაწილეობა და ექვს კაცში გაიმარჯვა კიდეც.

— შეიძლება ზოგს გაუკვირდეს, — ეუბნება „კომუნისტის" კორესპონდენტს ზაზა, რომელიც ამ დღეებში თბილისს სტუმრობს, — გაუკვირდეს ის, რომ მე უმაღლესი განათლება არა მაქვს და კურსის წაყვანა კი მანდეს. საქმე ის არის, რომ კონკურსში მონაწილეთაგან ზოგმა ქართული კი იცოდა, მაგრამ ინგლისურში მოიკოჭლებდა, ზოგიც პირიქით — ინგლისური ჩინებულად იცოდა, მაგრამ ქართულში მოისუსტებდა, და რაკი მე ორივე ენა ვიცი, ვაკანტურ ადგილზე ჩემი მიღება ამჯობინეს...

უნდა გითხრათ, რომ ამერიკაში დიდია საქართველოსადმი ინტერესი. კოლუმბიის უნივერსიტეტში ქართული ენის კურსის აღდგენას დიდად შეუწყო ხელი ფილმმა „მონანიებამ", „სუხიშვილების" გასტროლებმა, საერთოდ, ამ ბოლოდროინდელმა ამბებმა...

ჩემი „სტუდენტები" ზოგი დოქტორია, ზოგი ასპირანტი, ერთი პროფესორი პრინსტონის უნივერსიტეტიდან დადის: „ვეფხისტყაოსანს" გავეცანი პროზად, და ისე როგორ უნდა მოვკვდე, ეს დიდებული ქმნილება დედანში არ წავიკითხოო, — მითხრა გაცნობისას. სხვათა შორის, ჩემთან მეცადინეობს ნოე ჟორდანიას შვილიშვილი ნიკოლ ჟორდანია... საინტერესოა, რომ ოთხმა სტუდენტმა სურვილი გამოთქვა, საქართველოში ჩამოვიდნენ და საფუძვლიანად დაეუფლონ ქართულ ენას. ალბათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამყარებს ამ სასურველ კონტაქტს.

ჩვენ საკმაოდ გვაქვს ქართული მხატვრული ლიტერატურა, — ამბობს დასასრულ ზ. კორინთელი, — მაგრამ იქნებ როგორმე მოხერხდეს ვიდეო-კასეტების დამზადება, რომელიც ათასგზის გააადვილებდა ქართულის შესწავლას. ალბათ ამაზე უნდა იფიქროს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, რადგან ქართული ენისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდება და ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ ამ ინტერესს. მე კი ჩემდა თავად ვეცდები მცირეოდენი წვლილი შევიტანო ამ კეთილშობილურ საქმეში.

ვილენ მარდალეიშვილი.

მეგობრობა

არაფერია დავიწყებული

სულ ახლახან თბილისში საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ლევან ბერიშვილის სახელზე წერილი მოვიდა უკრაინიდან. ვოლინის ოლქის, ტურიისკის რაიონის სოფელ კლიუსკის სკოლის დირექტორი რაიონული გაზეთის „ლენინსკოე პრავდის" იმ ნომერს უგზავნიდა, რომელშიც გამოქვეყნებული წერილი — „სამუდამოდ ჩვენს მეხსიერებაში" დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული ქართველი ჭაბუკის პავლე ბერიშვილის ხსოვნას ეძღვნებოდა.

1944 წლის ნოემბერში საბჭოთა არმიის სერჟანტმა პავლე ივანეს ძე ბერიშვილმა მონაწილეობა მიიღო გერმანელი ფაშისტებისაგან უკრაინის ამ პატარა სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და ამავე მიწაზე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი, სოფლის მცხოვრებლებმა და თანამებრძოლებმა მაშინ ქართველი ჭაბუკი, სხვებთან ერთად, ადგილობრივ სასაფლაოზე დაკრძალეს, მშობლებს კი შორეულ საქართველოში — საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში, საიდანაც იგი 1942 წლის თებერვალში იყო გაწვეული, მათი ცხრამეტი წლის ვაჟის გმირულად დაღუპვის შეტყობინება გაუგზავნეს. მალე დაღუპულის დედამ ელენე ბერიშვილმა ვაჟის სახელზე გაცემული ჯილდო — წითელი ვარსკვლავის ორდენი და მისი ტარების უფლება მიიღო.

ბერიშვილების ოჯახში გლოვამ დაისადგურა. უფროსი ვაჟი ალექსანდრე ომში დაჭრილი, დაინვალიდებული უკვე შინ ჰყავდათ დაბრუნებული, დანარჩენი შვილები კი (სულ შვიდი და-ძმანი გახლდათ) პატარები იყვნენ.

გავიდა ხანი, და-ძმებში უფროსმა ლევანმა გადაწყვიტა მოენახა დაღუპული ძმის საფლავი და ომის წლებში მიღებული შეტყობინების მისამართით უკრაინაში გაემგზავრა, მან სოფელ კლიუსკში მიაკვლია პავლეს საფლავს, სადაც ხის პატარა ძეგლი იყო დადგმული. მას შემდეგ ლევანი, თავისიანებთან ერთად, თითქმის ყოველ წელს დადიოდა ძმის საფლავზე, დაუახლოვდა ადგილობრივ მცხოვრებთ, ბევრი მეგობარი შეიძინა, კლიუსკის სკოლის მოსწავლეებმა მათი სოფლის განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპული ქართველი მეომრის უკვდავსაყოფად მრავალი ღონისძიება განახორციელეს, ერთ-ერთ პიონერულ რაზმს პავლე ბერიშვილის სახელი მიაკუთვნეს, სკოლის დიდების მუზეუმში ერთი სტენდი ქართველი მეომრის ცხოვრების ამსახველ მასალებს დაუთმეს. შემდეგ სასაფლაოზე ძეგლის დადგმა ითავეს და სახსრების შესაგროვებლად მონდომებით იშრომეს. აგროვებდნენ ჯართს, მაკულატურას, ეხმარებოდნენ კოლმეურნეობას და მოგროვილი თანხით პავლე ბერიშვილს ძეგლი აუგეს. ამასთანავე გმირის სამშობლოში — საჩხერის რაიონის სოფელ გორისის სკოლას წერილი გამოუგზავნეს — თანატოლებს დამეგობრება სთხოვეს.

ძეგლის საზეიმო გახსნაზე სასოფლო საბჭომ და სკოლის ხელმძღვანელობამ კლიუსკში პავლე ბერიშვილის ახლობლები მიიწვიეს. აქ გამართულ მიტინგზე, რომელსაც სოფლის მცხოვრებლებთან ერთად მეზობელი რაიონის მკვიდრნიც ესწრებოდნენ, ბევრი ითქვა უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე.

ლარისა ხუგულური.



მოწმე წარსული დიდებისა.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

სასკოლო მშენებლობა

ტრადიციის ერთგულნი

სახალხო განათლების სისტემაზე ზრუნვის სამაგალითო ტრადიცია აქვთ ზუგდიდის რაიონში. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე სრულყოფა-გარდაქმნისათვის, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის რაიონს ათჯერ აქვს მიღებული საკავშირო და რესპუბლიკის განათლების სამინისტროების, შესაბამისი დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური და რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი დროშები და ფულადი პრემიები.

ნუ ვიქნებით ურწმუნონი და ნუ გავაუფასურებთ გარდამავალ დროშებს (როგორც ეს ახლა მოდაშია). სინამდვილე სახეზეა, ყველაფერი ხომ შედეგებით იზომება!

ყოველი სასწავლო წლის დამთავრებისას რაიონში ტრადიციულად იქმნება სპეციალური კომისია, რომელსაც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მეთაურობს. ამ კომისიის ძირითადი მოვალეობაა სანიმუშოდ მოამზადოს სასკოლო, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებები ახალი სასწავლო წლისათვის.

ამ მხრივ, არც მიმდინარე წელი იყო გამონაკლისი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მთელი ეს მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა ჯერ კიდევ 1987 წელს მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციაზე მიღებული პატრიოტული თაოსნობის სულისკვეთებით: მეთორმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის რაიონის სკოლები მთლიანად გადავიყვანოთ ერთცვლიან მეცადინეობაზე. ამ თაოსნობის განხორციელების ზღურბლზე არიან ზუგდიდელები. უკვე მიმდინარე სასწავლო წელს 68 საშუალო რვაწლიანი და დამოუკიდებლად მომუშავე დაწყებითი სკოლის მხოლოდ სამი პროცენტი იმეცადინებს ორ ცვლად.

მეთორმეტე ხუთწლედის სკოლაზე ზრუნვის ხუთწლედად გამოცხადების რესპუბლიკურ თაოსნობას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ ზუგდიდელები და მისი პრაქტიკულად განხორციელების ავანგარდში არიან. ჯერ კიდევ მარტში დამტკიცდა ახალი სასწავლო წლისთვის სასწავლო დაწესებულებათა და საბაზო ორგანიზაციების ერთობლივი მზადების სამუშაო გეგმა, კონკრეტულად განაწილდა ფუნქციები. საბაზო ორგანიზაციებმა საწარმოო გეგმაში ამ დანიშნულებისათვის სოლიდური თანხები გაითვალისწინეს. მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულებაში, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც აღსანიშნავია კახათის, ინგირის, რუხის, ნარაზენის, ჭაქვინჯის, ახალაბასთუმნის, კონცხლის, შიაწყარის კოლმეურნეობების, ინგირის, ზედაეწერის, ნარაზენისა და ონარიის საბჭოთა მეურნეობების ნაყოფიერი საქმიანობა.

ახალაბასთუმნის კოლმეურნეობა სასწავლო სახელოსნოს და სპორტულ კომპლექსს უშენებს საშუალო სკოლას. პირველ სექტემბერს ნარაზენის კოლმეურნეობა ინდივიდუალური პროექტით აგებული კაპიტალური საბავშვო ბაღით გაახარებს სოფლის პატარებს.

ოცი წლის წინათ ხანძარმა შთანთქა სოფელ ერგეტის საშუალო სკოლის ძველი ფიცრული ნაგებობა. სკოლა დროებით ყოფილი კოლმეურნეობის კანტორის ვიწრო შენობაში მოთავსდა. ერგეტელებს რკინის ქალამნები არ ჩაუცვამთ თორემ, ვისთან არ იყვნენ, ვის არ თხოვეს, რომელ ინსტანციას არ მიმართეს, მაგრამ სახელმწიფო სახსრებით სკოლის აშენებას ვერ მიაღწიეს. ახლა სოფელს ნაღდი პატრონი გამოუჩნდა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვის" სახით, რომელმაც ერგეტის მეკამეჩეობის სუსტძალოვანი მეურნეობა არენდით აიღო და ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა მისცა წარმოებას ინდუსტრიულ-აგრარული პროფილი. გაერთიანების ხელმძღვანელობამ და მისმა გენერალურმა დირექტორმა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ო. ფაცაციამ უპირველესად სოფლის ახალგაზრდობის სწავლისა და დასვენების პირობები შეისწავლა. გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია საშუალო სკოლისა და საბავშვო ბაღის ტიპიურ ნაგებობათა მშენებლობა, რომელსაც ჩქარი ტემპით ასრულებს გაერთიანების მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია. ორ ოქტომბერს მკვიდრად და კოხტად ნაგებ სკოლაში ახალმოსახლეობას იზეიმებენ ერგეტელი მოსწავლეები. სკოლისათვის უკვე ჩამოტანილია 200 ათასი მანეთის ღირებულების რბილი და მაგარი ინვენტარი.

სოფელ ცაიშის საშუალო სკოლას შარშან უნდა ეზეიმა 100 წლის იუბილე, მაგრამ ძველი შენობა ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. აქაც გამოინახა შეფი ორგანიზაცია. „საქსპორტოლიმპიადმშენის" უფროსმა ნ. ჯობავამ თანასოფლელი ბავშვების სწავლისა და ფიზიკური გაჯანსაღებისათვის ყველაფერი იღონა და წელს ცაიშელი მოსწავლეები მიიღებენ სპორტდარბაზს, მარტივი ტიპის ღია სპორტულ მოედნებს, სასწავლო და სხვა დანიშნულების 10 ახალ ოთახს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ცაიშის კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარის გ. რევიას მზრუნველი დამოკიდებულება სახალხო განათლების ობიექტებისადმი.

სასკოლო ობიექტების კაპიტალური რემონტი უკვე დაამთავრეს და სასწავლო წლის დაწყებას ყოველმხრივ მომზადებული ხვდებიან ანაკლიის, ოქტომბრის, ინგირის პირველი და მეორე, ქვემო-კახათის, ჭაქვინჯის საშუალო, ნარაზენის პირველი, ნაცატუს, რუხის რვაწლიან სკოლებში. მიმდინარე წელს სკოლების კაპიტალურ და სხვა სახის შეკეთების, სამეცადინო ოთახების მიშენება-დაშენებისათვის, მაგარი და რბილი ინვენტარის შესაძენად საზოგადოებრივი სახსრებიდან გაიხარჯება ერთ მილიონ მანეთზე მეტი.

ახალ სასწავლო წელს 100-ზე მეტი აჭარელი ბავშვი მიუჯდება მერხებს ახალსოფლისა და ნარაზენის საშუალო სკოლებში. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სწავლისა და დასვენების საუკეთესო პირობებით, ორჯერადი კვება უფასო ექნებათ. შეფმა ორგანიზაციებმა, სკოლების დირექციებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ კოლხეთში დამკვიდრებულმა ბავშვებმა ისე იგრძნონ თავი, როგორც მშობლიურ აჭარაში.

მიმდინარე წლის ივლისის ბოლო რიცხვებში ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა გაფართოებულ თათბირზე სპეციალურად იმსჯელა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. გაწეულ სერიოზულ მუშაობასთან ერთად მკაცრად ითქვა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც თან ახლავს ამ დიდ საქმეს. საგრძნობი შეფერხებაა საშენი მასალებით მომარაგებაში, იგი ფაქტობრივად დეფიციტი გახდა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან გამოყოფილი ფონდები მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნებს და ზოგჯერ იძულებული არიან საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევები დაუშვან. ცენტრალური გათბობის სისტემის კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის საჭირო მოწყობილობანი რაიონში არ მიუღიათ.

სერიოზული ყურადღება ექცევა სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების კვების ობიექტების რემონტს და წესრიგში მოყვანას, პროდუქტებით მომარაგება-უზრუნველყოფის საკითხს. ამ მიმართულებით მშენებლები და შეფი ორგანიზაციები ზოგჯერ შეუძლებელსაც აკეთებენ, რათა ობიექტები მოზარდთა და კვების ორგანიზაციათა თანამედროვე პირობებს პასუხობდეს. აქ თავი იჩინა გაურკვევლობამ, რომელიც წინა წლებშიც იგრძნობოდა. საქმე ის გახლავთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 31 ივლისის დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასწავლო დაწესებულებებზე გაცემული ნატურალური რძე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები უნდა ჩაეთვალოს სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დადგენილებას კანონის ძალა არ მიუღია და იგი ჯერჯერობით განუხორციელებელი რჩება.

ზუგდიდი ყოველთვის გამოირჩეოდა კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, მაგრამ ახლა, როცა სწავლების სისტემა რადიკალურ გარდაქმნას განიცდის, საჭიროა ახალი პროფილის სპეციალისტები. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბევრი მასწავლებელი დამსახურებულ პენსიაზე გადის. რაიონიდან სახალხო განათლების სამინისტროში დროულად გაიგზავნა განაცხადი სხვადასხვა სპეციალობის 56 პედაგოგზე, დღეისათვის დანიშნულია მხოლოდ — 22.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დასასრულს უახლოვდება. ზუგდიდელები ტრადიციას არ ღალატობენ და, სიძნელეების მიუხედავად, მაქსიმალურად იყენებენ დარჩენილ დროს მისი ღირსეულად შეხვედრისათვის.

ბაჟა ჩაჩიბაია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალი სასწავლო წლიდან

▼▼

კომპიუტერები მოსწავლეთათვის

სკოლაში სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაცია დღევანდელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჯერჯერობით რესპუბლიკის სკოლებში ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა: რაიონებზე რომ არაფერი ვთქვათ, თბილისის 180 სკოლიდან მხოლოდ 40-ს აქვს კომპიუტერული კლასები. და აი, სახალხო განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა წლის დამლევისათვის დედაქალაქის ყველა სკოლის უზრუნველყოფა დისპლეებით და ინფორმატიკის საფუძვლების შესწავლის საშუალებებით.

სკოლებს ამ მხრივ დახმარებას უწევენ უმაღლესი სასწავლებლები. მაგალითად, საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ახალციხის რაიონის ორ სკოლას საჩუქრად გადასცა კომპიუტერების კომპლექტები.

„კომუნისტის" კორ.

ღია სასამართლო სხდომა

დაიწყო ხუდაიბერდიევის საქმის მოსმენა

24 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნებით დაიწყო პროცესი უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ნ. ხუდაიბერდიევის საქმის გამო. მას ბრალად ედება, რომ 7-ჯერ აიღო ქრთამი 25 ათასი მანეთი საერთო თანხის ოდენობით და ქრთამად მისცა 50 ათასი მანეთი. საქმის მოსმენა მიმდინარეობს ღია სასამართლო სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის ს. თ. სავკინის თავმჯდომარეობით და სახალხო მსაჯულების ლ. ა. საველიევისა და კ. ა. ამოსოვის მონაწილეობით. სახელმწიფო ბრალმდებელია სსრ კავშირის პროკურატურის სამმართველოს პროკურორი ვ. პ. ლევიცკი. განსასჯელს იცავს მოსკოვის ადვოკატთა საქალაქო კოლეგიის წევრი გ. მ. რეზნიკი.

როგორც წინასწარი გამოძიების მასალებიდან ჩანს, 1983 წლის 27 აპრილს უზბეკეთის სსრ უშიშროების კომიტეტმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე იმ ფაქტის გამო, რომ სამხილით დააკავეს ბუხარის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი ა. მუზაფაროვი, როდესაც მან ქრთამად აიღო 1000 მანეთი. შემდგომმა გამოძიებამ ცხადყო: ბუხარის ოლქის შინაგან საქმეთა ორგანოებში, ვაჭრობისა და მომარაგების სისტემაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი მექრთამეობამ, სხვა ანგარებითმა დანაშაულობებმა. საქმე წარმოებისათვის მიიღო სსრ კავშირის პროკურატურამ. შემდგომი გამოძიების პროცესში მუზაფაროვთან ერთად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ უზბეკეთის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, უზბეკეთის ბუხარის საქალაქო და საოლქო შინაგან საქმეთა სამმართველოების უფროსები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ერთი მათგანია ნ. ხუდაიბერდიევი, რომელიც 1971-1984 წლებში მუშაობდა უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია: „ხუდაიბერდიევი... იყენებდა რა პასუხსაგებ თანამდებობრივ მდგომარეობას და სხვა გარემოებებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევდა გავლენა მოეხდინა სამსახურებრივ საკითხთა დადებითს გადაწყვეტაზე, 1978-1982 წლების მანძილზე არაერთგზის იღებდა ქრთამებს თავისი ხელქვეითი მუშაკებისაგან, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელების, უზბეკეთის სსრ სხვა თანამდებობის პირებისაგან დახმარების, მფარველობისა და მუშაობაში მხარდაჭერის გაწევისათვის. გარდა ამისა, ასეთივე მოქმედებისათვის თვითონ მისცა ქრთამი ზემდგომ პასუხისმგებელ თანამდებობრივ პირს". ეს „პირი" იყო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე ი. ჩურბანოვი.

1987 წლის თებერვალში ხუდაიბერდიევი დააპატიმრეს. საბრალდებო დასკვნიდან ჩანს, რომ მან პირველი დღიდანვე აღიარა დანაშაული, რომ იღებდა და სხვას აძლევდა ქრთამს. განმარტა რა თავისი ქცევის მოტივები, ხუდაიბერდიევმა თქვა, რომ მექრთამეობამ უზბეკეთში მასობრივად მოიკიდა ფეხი და რესპუბლიკის ყველა ორგანო მოიცვა. „მექრთამეობის სისტემა რაშიდოვმა ჩამოაყალიბა და ვერავინ ვერ აღუდგებოდა წინ ამ პროცესს. იმისათვის, რომ მეტნაკლებად ნორმალურად გეცხოვრა და გემუშავა, უნდა მიგეცა ქრთამი ზემდგომი ხელმძღვანელობისათვის".

მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც წინასწარი გამოძიების მასალები მოწმობს, 1989 წლის 3 მაისს დაკითხვაზე ხუდაიბერდიევმა თავის ჩვენებებში „უმოტივოდ ნაწილობრივ უარყო თავისი წინანდელი ჩვენებანი, რათა შეერბილებინა თავისი ბრალი", ხოლო პირველ დღეს, როდესაც სასამართლო სხდომის დროს დაჰკითხეს, მან საერთოდ უარი თქვა წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებზე. ხუდაიბერდიევი ამტკიცებდა, რომ ეს გამოძიების ძალდატანებით გააკეთა.

ჭეშმარიტ სურათს სასამართლო აღადგენს. სწორედ იგი გაანაწილებს აქცენტებს მას შემდეგ, რაც გამოიკვლევს სისხლის სამართლის საქმის 15-სავე ტომს, საგულდაგულოდ შეამოწმებს ყველა მტკიცებულებას.

ნ. დემიდოვი,
საქდესის კორ.

წერილი „კომუნისტს"

ერთი „მქლერი" რეპლიკის თაობაზე

„კომუნისტის" 8 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა მეტად საინტერესო საუბარი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანთან, საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის თავმჯდომარესთან **ხუტა ბერულავასთან**, რომელმაც მკითხველს გააცნო მართლაც სრულიად საქართველოს სადიდებლად მიმართული ღონისძიებანი.

ამ საუბარს მოჰყვა ცნობილი მწერლის ოთარ ჩხეიძის რეპლიკა „ჩამოურთმევიათ"... (16 აგვისტო, 1989).

ვეთანხმებით ო. ჩხეიძეს, რომ ინტერვიუს ავტორს თანამოსაუბრისათვის უნდა ეთქვა არა „**მისი წინადადებით**", არამედ „**საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს წინადადებით**".

მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია, რომ ამხ. ხ. ბერულავამ ეს არ გააკეთა მხოლოდ და მხოლოდ ოთარ ჩხეიძის გულწრფელი პატივისცემით.

რაც შეეხება არაპერიოდულ კრებულს, იგი არავისთვის არ ჩამოგვირთმევია.

ჩვენ შევქმენით ახალი **პერიოდული გამოცემა** — **ალმანახი**, რომელიც ჯერჯერობით წელიწადში 4 ნომერი გამოვა.

ახალი ალმანახის რედაქტორობა დავავალეთ ცნობილ მწერალს **მერაბ ელიოზიშვილს**, რომლის უნარსა და ერუდიციაში ჩვენ ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი.

მუხრან მაჭავარიანი,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

თბილისის კერამიკულ კომბინატში მრავალგვარი ფართო მოხმარების საგნები მზადდება, რომლებზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა. აქაური მშრომელები ყოველნაირად ცდილობენ, გააუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას და ასორტიმენტის განახლებას.

სურათზე: პროდუქციის ხარისხს ამოწმებენ მხატვარი გენადი ბერსენაძე, ფერმწერი ნათელა გოგლიძე და საამქროს უფროსი მერი თავდიდიშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტი") ფოტო.

სპორტის ამბები

ფეხბურთის ტალღაზე

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეორე ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა: „ლოკომოტივი"-„ტორპედო" — 2:0, კიევის „დინამო"-„როტორი" — 2:0, მინსკის „დინამო"-„ზენიტი" — 1:1, „შახტიორი"-მოსკოვის „დინამო" — 1:0, „არარატი"-„ჩერნომორეცი" — 3:1, „სპარტაკი"-„დნეპრი" — 2:1, თბილისის „დინამო"-„პამირი" — 1:1.

დღეისათვის გუნდები სატურნირო ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით არიან განაწილებული:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„სპარტ."	**22**	**14**	**7**	**1**	**42-14**	**35**
„უალგ."	**22**	**12**	**5**	**6**	**31-22**	**29**
„დნეპრი"	**22**	**12**	**4**	**6**	**30-22**	**28**
„დინ." კ	22	9	9	4	25-15	27
„ტორპ".	22	8	9	5	22-15	25
„მეტალ".	22	8	8	6	23-20	24
„დინ". მნ	22	9	5	8	27-23	23
„ჩერნ".	22	8	7	7	26-27	23
„დინ." მ	22	7	8	7	26-21	22
„პამირი"	22	6	7	9	17-27	19
„არარატი"	22	7	4	11	21-31	18
„როტორი"	21	6	6	9	18-23	18
„შახტ".	22	7	3	12	16-23	17
„დინ". თბ	21	4	9	8	17-22	17
„ზენიტი"	**22**	**5**	**4**	**13**	**15-37**	**14**
„ლოკომ."	**22**	**4**	**5**	**13**	**12-26**	**13**

თბილისის „დინამო" რომ დიდად ვერ გვახარებს, ეს გათამაშების ცხრილიდანაც ჩანს. ახლა ჩვენს მოფუსფუსე და უღიმღამოდ მოთამაშე გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული თუ უმნიშვნელო წინსვლის შანსიღა შემორჩა. სეზონის დასაწყისში კი არაერთხელ გამოთქმული ვარაუდი, საკმაოდ კარგი პოტენციური შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა ფეხბურთელები ქომაგებს თავიანთ თავს შთამბეჭდავი თამაშით დაამახსოვრებენო, ფუჭი გამოდგა. „პამირთან" შეხვედრის დროსაც, მატჩის მეექვსე წუთზე გოგიჩაიშვილის მახვილგონივრული პასი კაჭარავამ ზუსტი დარტყმით დაამთავრა და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგაც იყო კარის აღების რამდენიმე კარგი სიტუაცია, მაგრამ მოედანზე მოქმედმა თბილისელმა ფეხბურთელებმა სწორედ ის ძალა ვერ გამოავლინეს, რომელსაც სასურველი შედეგი მოაქვს. უფრო მეტიც, საკითხავია, არის კი საერთოდ ჩვენს კოლექტივში ასეთი ძალები? საბოლოოდ კი დუშანბელებმა ერთ-ერთი ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენება შეძლეს და მატჩის მიწურულს ანგარიში გაათანაბრეს — 1:1.

— რა ეშველება თბილისის „დინამოს"? — ეს კითხვა ხშირად გაისმის. წლევანდელისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ახლა, ამ ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, იმედის თვალი კვლავ მომავალი სეზონისკენ უნდა დავიჭიროთ.

ჯიმშერ ინუქიძე.

გამოიწერეთ

გაზეთი „სამშობლო"

დღიდან დაარსებისა, 1956 წლიდან, გაზეთ „სამშობლოს" გავრცელება საქართველოში შეზღუდული იყო, ლიმიტირებულ ხელმოწერას ერთვოდა ისიც, რომ გაზეთი არც საცალო ვაჭრობაში გადიოდა. 1989 წლის 26 მაისიდან გაზეთი უკვე იყიდება თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების კიოსკებში. სულ ახლახან კი მის ხელმოწერაზეც მოიხსნა შეზღუდვა და ახლა „სამშობლოს" გამოწერა, ისევე როგორც ყველა სხვა ქართული გაზეთისა, თავისუფლად შეიძლება „სოიუზპეჩატის" სააგენტოებში (განყოფილებებში), ხელმოწერის პუნქტებში, კავშირგაბმულობის კვანძებსა და განყოფილებებში, აგრეთვე პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.

ყოველწლიურად გამოდის გაზეთ „სამშობლოს" 26 ნომერი. წლიური ხელმოწერა 1 მანეთი და 80 კაპიკი ღირს.

თუ გსურთ, „სამშობლო" 1990 წლის 1 იანვრიდან მიიღოთ, ხელმოწერის გაფორმება 1 ოქტომბრამდე უნდა მოასწროთ.

გაზეთის ინდექსია 66488.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია—სამშაბათი, 29 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — ათლეტიზმი. 14.20 — ქართული სატელევიზიო ფილმი „მღერის „ბახმარო". 14.55 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაიცანით ჩვენი შვილები". 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „საუკეთესო ნომერი". 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჭიათურის ბავშვთა თვითმოქმედება". 18.15 — განცხადებები. 18.20 — „პარლემ-ბალეტი" თბილისში. 18.55 — საბჭოები გარდაქმნის გზაზე. 19.30 — ახალგაზრდობისათვის. კონცერტი. 20.00 — მოამბე. 20.35 — ძილისპირული. 20.50 — „ზოგი რამ ჩვენს თავს დავახალოთ" (გადაცემა მეორე). 22.00 — „ვრემია". 22.40 — „სტუდია „დიალოგი" (განიხილება პარტიის ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია). 23.30 — საქართველოს საფეხბურთო პირველობა.

მეორე პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — ათლეტიზმი. 14.20 — ქართული სატელევიზიო ფილმი „მღერის „ბახმარო". 14.55 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 15.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე". 18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთი თავი კარგია" (პირველი ჩვენება). 18.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედნიერი რომ იყო". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „სახედრის ტყავი". 22.00 — „ვრემია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — კონცერტი. 10.05 — მხატვრული ტელეფილმი „მიხაილო ლომონოსოვი". პირველი ფილმის I და II სერია. 12.30 — „ეს იყო... იყო...". 12.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.50 — ი. ბოგაჩოვას კონცერტ-ბენეფისი. 16.35 — აზერბაიჯანის სსრ თურქული ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი. 17.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „მოსახვევი". 17.20 — საბავშვო სიმღერის ფესტივალი „ზელენა გურაში" (პოლონეთი). 18.20 — მულტფილმი. 18.50 — პროფკავშირთა პირველი საკავშირო სპარტაკიადა. 19.20 — ლენინიანა. აღდგენის ქრონიკა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 20.30 — „სიმღერა-89". 20.45 — „მიხაილ ლომონოსოვი". პირველი ფილმის III სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ი. ფრენკელის სიმღერები და რომანსები კ. ვანშენკინის ლექსებზე. 23.30 — „90-იანი წლების ავიაცია". პირველი ნაწილი. 24.00 — დღეს მსოფლიოში. 0.15 — ვივალდი. „გლორია".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „იყო და არა იყო რა... გვიამბობს ვიქტორ შკლოვსკი". მეორე ფილმი. 10.15 — ა. ლიადოვის რვა რუსული ხალხური სიმღერა. 10.40 და 13.30 — ფრანგული ენა. 11.10 — ლიტერატურული კითხვა. მ. პრიშვინი — „ბუნების კალენდარი". 11.50 — დოკუმენტური ფილმი. 12.05 — ახალი ამბები. 12.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 12.25 — „ოთხი ტანკისტი და ძაღლი". XXI სერია. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — რიტმული ტანვარჯიში. 14.40 — მულტფილმები. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მხატვრული ტელეფილმი „აი, ასეთი სასწაულები". 19.15 — პატარა კონცერტი. 19.25 — ჰოკეი. ცსკა — „ხიმიკი". შესვენებისას — 20.50 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრულ-პუბლიცისტური ფილმი „XX ყრილობის შვილები". II და III სერია. შესვენებისას — 23.35 — ახალი ამბები. 0.35 — კალათბურთი. ვაჟები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უშ 00389 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშტარიას 2ა. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14